# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 31 აგვისტო 2000 №167 (1189) | ფასი 50 თეთრი

2

### ქართული დაზვერვა დუნაიზე

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

რას ამბობენ მწვრთნელები საჯაროდ და ვიწრო წრეში

3

### იაშვილმა ფრაიბურგთან კონტრაქტი გააგრძელა

ფინკეს ქართველი ძალიან სჭირდება

3

### ორი კვირა რა ამბავია...

ჯიმ სმიტი ქინქლაძეს დიდხანს არ გააჩერებს

5

### ბარსელონამ ძმები დააშორა



„ბარსაში" უშანსო რონალდ დე ბური თითქმის რეინჯერსელია

7

### ჩაქუჩი ვარ მთელი ჩემი ცხოვრება

„ვესტ ჰემ იუნაიტედის" მწვრთნელი და „ლივერპულის" ნახევარმცველის ჯეიმი რედნაპის მამა, ჰარი რედნაპი ამ დღეებში იუბილეს აღნიშნავს

14

### არის ასეთი პარტია!

ივანჩუკი და მარკოვსკი მეშვიდე სვლაზე დაზავდნენ, ნაბახუსევი ხომ არ იყვნენ?

# კახა კალაძე: დაანებეთ თავი მამაჩემს და მილანს



კახა კალაძე (მარჯვნივ) „ცრვენა ზვეზდასთან" ამასწინანდელი მატჩისას

საქართველოს ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მცველ კახა კალაძის იტალიის „მილანში" გადასვლაზე კარგა ხანია და იმდენს ლაპარაკობენ, ჭორ-მართალის გარკვევა ჭირს.

გუშინ კი რუსული, უკრაინული, იტალიური, ცოტა ადრე ქართული საინფორმაციო საშუალებებით ითქვა, უკვე გადაწყვეტილია, რომ კახა კალაძე კარიერას უტიტულოვანეს „მილანში" გააგრძელებს. კახას მამა კარლო და ახლახან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეული, მანამდე კიევის „დინამოს" პრეზიდენტი გრიგორი სურკისი მილანში იყვნენ და იქაური კლუბის ხელმძღვანელობასთან კახა კალაძის ტრანსფერის ყველა დეტალი შეათანხმესო — დაახლოებით ასეთი შინაარსისა გახლდათ, რაც გუშინ ითქვა და იტალიურმა „ტუტო სპორტმა" დაწერა.

ჩვენ კი წუხელ საქმეში გასარკვევად საქართველოს ეროვნულ გუნდთან ერთად ფრაიბურგში მყოფ კახა კალაძეს დავუკავშირდით.

— მამაჩემი მილანში საერთოდ არ ყოფილა, ამჟამად შინ, სამტრედიაშია და როგორც ვიცი, იტალიაში ბოლო ხანს არც გრიგორი სურკისი ჩასულა. ჩემს „მილანში" გადასვლაზე კი ახალს ვერაფერს გეტყვით. გაკვირვებული ვარ, ვის რაში სჭირდება ასეთი ინფორმაციის გავრცელება... დღეს კი მხოლოდ „ფრაიბურგის" წინააღმდეგ თამაშზე ვფიქრობ...

აი, ეს გვითხრა კახამ და მეტად აღარც შევვიწუხებია.

საქართველოს ნაკრები კი გუშინ ფრაიბურგში თითქმის იმ შემადგენლობით შეიკრიბა, რომელიც რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა „ფრაიბურგის" წინააღმდეგ ხვალინდელი ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს. გერმანიას მხოლოდ ისრაელში მოთამაშე გივი დიდავა არ ჩასულა, მას დღეისთვის ელიან. დანარჩენებმა კი, მათ შორის მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელმა ზაზა ჯანაშიამ, გუშინვე დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშეს. ამ საღამოს ეროვნული გუნდი „ფრაიბურგის" ქართველ ლეგიონერებიანად „დრაიზერშტადიონსაც" მოსინჯავს, ხვალ კი თამაშია...

**ქობა ინასარიძე**

# ლომებზე ნადირობა დაიწყო

US OPEN

მკვდარი შტილის შემდეგ მოვარდნილმა ქარიშხალმა აშშ-ის ღია პირველობაზე ერთბაშად ორი ფავორიტი შეიწირა. მსოფლიოს მეორე ჩოგანი გუსტავო კუერტენი ნიუ იორკში მიმდინარე სეზონის ბოლო დიდი სლემის ტურნირზე უეინ არტურსის მძიმე არტილერიას ვერ გადაურჩა. რამდენიმე საათში კი გუგას „ოუფენის" ორგზის ჩემპიონი პატრიკ რაფტერიც მიყვა. რეიტინგის ლომებზე ნადირობის სეზონი გაიხსნა.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



REUTERS ნიუ იორკიდან

გუსტავო კუერტენი

# დუნაიზე დუნაიზე

## რას ამბობენ მწვრთნელები საჯაროდ და ვიწრო წრეში

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**
**ჩვენი ჯგუფი**

საქართველოს ნაკრების მეტოქეები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კვირას ბუქარესტსა და ბუდაპეშტში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. რუმინელები ლიტველებს უმასპინძლებენ, უნგრელები კი ევროპის ვიცე-ჩემპიონ იტალიელებს. თუ რამე არ შეიცვალა, ამ მატჩებს ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელებიც დაესწრებიან, მომავალ მეტოქეებს დაზვერავენ. რევაზ ძოძუაშვილი ალბათ ბუქარესტს გაემგზავრება, დავით ყიფიანი — ბუდაპეშტს.

საქართველოს ნაკრების ოთხივე თანაჯგუფელის მწვრთნელებმა კი ის შემადგენლობები გამოაცხადეს, რომლებითაც 3 სექტემბერს მეტოქეებს გაეჯიბრებიან. მაშ, ასე:

### რუმინეთი

*მეკარეები: ბოგდან სტელია (სალამანკა, ესპანეთი), ბოგდან ლობონტი (აიაქსი, ჰოლანდია);*

*მცველები: კოსმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), დანიელ კირიტა (დინამო), მიოდრაგ ბელოდედიჩი (სტიაუა), იულიან ფილიპესკუ (ბეტისი, ესპანეთი), ლივიუ ჩობოტარიუ (სტანდარდი, ბელგია), დან პეტრესკუ (ბრედფორდი, ინგლისი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია);*

*ნახევარმცველები: მარიუს მალდარასანუ (რაპიდი), ფლორენტინ პეტრე (დინამო), დორინელ მუნტეანუ (ვოლფსბურგი, გერმანია), ლაურენტიუ როსუ (ნუმანსია, ესპანეთი), ერიკ ლინკარი (სტიაუა), კონსტანტინ გალკა (ესპანიოლი, ესპანეთი), კატალინ მუნტეანუ (სალამანკა, ესპანეთი), იულიან ტამეში (დინამო);*

*თავდამსხმელები: ვიორელ მოლდოვანი (ნანტი, საფრანგეთი), იონელ განეა (შტუტგარტი, გერმანია), ადრიან მუტუ (ვერონა, იტალია), იოან ვლადოიუ (სტიაუა), ადრიან მიჰალჩეა (დინამო)*

ნაკრების ახალწვეულად ბუქარესტის „დინამოს“ ნახევარმცველი იულიან ტამეში ითვლება. რუმინელთა მწვრთნელი ლადისლაუ ბოლონი თურმე მოხიბლულია ამ ფეხბურთელით და სულაც არ არის გამორიცხული, ეს ბიჭი ლიტველებთან ძირითადშიც ათამაშოს. რუმინელებს კვირას ესპანური „ვალენსიას“ თავდამსხმელი ადრიან ილიე ვერ დაეხმარება, ფეხის ტრავმა აქვს. გეორგე ჰაჯიმ და მისმა სეხნია პოპესკუმ კი, მიუხედავად ლადისლაუ ბოლონის მცდელობისა, მათ სანაკრებო კარიერა გაეგრძელებინათ, საბოლოოდ თქვეს უარი ეროვნულ გუნდში თამაშზე. როგორც რუმინელმა კოლეგამ წუხელ გვაცნობა, ლიტვასთან მატჩის წინ ბოლონმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლიტვის ნაკრები ათლეტური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს. ბალტიისპირელები ძირითადად თავს იცავენ და კონტრშეტევებს ამჯობინებენ, თუმცა ეს მთლად კარგად ვერ გამოსდითო. ბოლონი რუმინელთა წარმატებაში დარწმუნებული ყოფილა.

### ლიტვა

*მეკარეები: გიტის პადიმანსკასი (კაუნასი), პაველ ლეუსი (ჟალგირისი, კაუნასი);*

*მცველები: დარიუს ჟუტაუტასი (ალანია, რუსეთი), დეივიდას შემბერასი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), ანდრიუს სკერლა (დანფერმლაინი, შოტლანდია), ნერიუს რადჟიუსი (ლუბლიანა, სლოვენია), დაინიუს გლოვეცკასი (შახტარი, უკრაინა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), საილიუს მიკალაიუნასი (ურალანი, რუსეთი);*

*ნახევარმცველები: აიდას პრეკშაიტისი (უნიონ ბერლინი, გერმანია), ტომას რაჟანაუსკასი (ბრანი, ნორვეგია), ორესტას ბუიტკუსი (სკონტო, ლატვია), ტომას კანჩელსკისი, ანდრიუს კსანავიჩიუსი (ორივე კაუნასი);*

*თავდამსხმელები: ვალდას ივანაუსკასი (ვილჰელმშავენი, გერმანია), არტურას ფომენკა (როსტელმაში, რუსეთი), რობერტას პოშკუსი (ვიძევი, პოლონეთი), ვალდას ტრაკისი (ტორპედო, რუსეთი), ანდრის იოკშასი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), დარიუს მაციულევიჩიუსი (ჰაკოახი, რამათგანი, ისრაელი)*

მწვრთნელმა სტასის სტანკუსმა ნაკრებში დააბრუნა გამოცდილი ვალდას ივანაუსკასი, რომელიც ახლა გერმანიის რეგიონალლიგაში თამაშობს. ამხანაგური მატჩებისას სტანკუსს თურმე ივანაუსკასის ხსენებაც არ სურდა, მაგრამ პორტუგალიელებთან სამარცხვინო წაგების შემდეგ გადაწყვიტა, ვეტერანი ისევ მიიწვიოს. ისე, საეჭვოა, ივანაუსკასმა რუმინელების წინააღმდეგ ითამაშოს.

ლიტვის ნაკრების ხელმძღვანელებს მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგის“ მეკარე გინტარას სტაუჩემ სთხოვა, ამიერიდან ეროვნულ გუნდში ნუღარ გამომიძახებთო. ამის მიზეზი გადაღლილობა ყოფილა, თანაც მეკარეს უთქვამს, ოჯახისთვის ველარ ვიცლიო.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიტაუტას დირმეიკისი და დანიის „ბრონდბიუს“ ფეხბურთელი აურელიუს შკარბალიუსი ერთმანეთთან კვლავ უბრად არიან. შკარბალიუსი აცხადებს, ვიდრე პრეზიდენტი ეგ კაცია, ნაკრებში არ ვითამაშებო. ლიტველმა კოლეგამ ესეც გვაცნობა, ბუქარესტში ტრავმის გამო ესპანეთის „რეალ სოსიედადის“ ნახევარმცველი ედგარას იანკაუსკასი ვერ ითამაშებსო. სტასის სტანკუსი კი ნაკრების ფეხბურთელების სათამაშო ფორმით შეშფოთებული ყოფილა, უთქვამს, რუმინელებთან ძალიან გაგვიჭირდებაო, თუმცა მასვე ვიწრო წრეში სრულიად სერიოზულად უთქვამს, შესარჩევი ჯგუფის პირველ სამ თამაშში შვიდი ქულა უნდა მოვაგროვოთო. შეგახსენებთ, ლიტვა რუმინელების შემდეგ 7 ოქტომბერს საქართველოს მასპინძლობს, 11-ში კი უნგრეთს.

### უნგრეთი

*მეკარეები: გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), ჟაბოლშ საფარი (ზალცბურგი, ავსტრია);*

*მცველები: გიორგი კორსოში (შტურმი, ავსტრია), ვილმოშ შებოკი (კოტბუსი, გერმანია), მიკლოშ შალმონი (დუნაფერი), იანუშ მატიუში (კოტბუსი, გერმანია), ტამაშ იუჰარი (ვაშაში), იანუშ ჰრუტკა (უგუნდოდ);*

*ნახევარმცველები: ჩაბა ფეჰერი (ბრედა, ჰოლანდია), ტამაშ პეტო (ვაშაში), იშტვან ჰამარი (ბეითარი, ისრაელი), ჰენრიკ როსა (დუნაფერი), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანია), მიკლოშ ლენდვაი (ბეერსხოტი, ბელგია), გაბორ ჰალმაი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), ბელა ილეში (მტკ);*

*თავდამსხმელები: ატილა ტოკოლი (დუნაფერი), ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), ფერენც ჰორვატი (კოტბუსი, გერმანია), ატილა კორსოში (უიპეშტი)*

მასპინძლებს იტალიელებთან ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველი პალ დარდაი და „უიპეშტის“ ფორვარდი მიკლოშ ჰერჩეგი დააკლდებათ, მათ ფეხი სტკივათ. ამ ფეხბურთელების შემცვლელები კი მწვრთნელ ბერტალან ბიჩკეის ჯერაც ვერ მოუძებნია. იტალიის წინააღმდეგ ჩვენთვის ნაცნობი, ისრაელის „ბეითარის“ ნახევარმცველი იშტვან ჰამარი ითამაშებს და გუნდსაც მისი დიდი იმედი აქვს. ნაკრებში ასევე გამოძახებულია იანუშ ჰრუტკა, რომელიც მართალია ფრანკფურტის „აინტრახტის“ ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს, აქამდე ინდივიდუალურად ემზადებოდა.

### იტალია

*მეკარეები: ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), კრისტიან აბიატი (მილანი);*

*მცველები: დანიელე ადანი (ფიორენტინა), მარკ იულიანო (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა, პაოლო ნეგრო, ჯუზეპე პანკარო (ყველა ლაციო), პაოლო მალდინი (მილანი), ფაბიო კანავარო (პარმა);*

*ნახევარმცველები: ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), რობერტო ბარონიო (ლაციო), დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო (ყველა მილანი), სტეფანო ფიორე (უდინეზე);*

*თავდამსხმელები: ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი, ვინჩენცო მონტელა, მარკო დელვეკიო (ყველა რომა)*

ჯოვანი ტრაპატონის გუნდში სამი ახალწვეულია. „ფიორენტინას“ მცველი დანიელე ადანი, „ლაციოს“ ნახევარმცველი რობერტო ბარონიო და მილანელი ჰავბეკი ჯენარო გატუზო „ცისფერ გუნდში“ პირველად გამოიძახეს. ვფიქრობთ, დანარჩენ ფეხბურთელებზე ლაპარაკიც ზედმეტია, ყველა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეა. შეიძლება ითქვას, ბუდაპეშტს იტალიელები უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრებიან. დინო ძოფის შემცვლელ ჯოვანი ტრაპატონის გუნდში ბევრიც არაფერი შეუცვლია.

**კობა ინასარიძე**

# სიონი იძენს და კარგავს

**მეთორმეტე** ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის მთავარი სენსაციის ავტორი, მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას“ მძლეველი ბოლნისის „სიონი“ ამ დღეებში ალბათ კიდევ უფრო გაძლიერდება. ბოლნისელთა თავკაც სპარტაკ არჩვაძეს კონსტანტინე მეტრეველის დამატება განუზრახავს და თუ რაიმე მოულოდნელობა არ მოხდა, სურვილს სისრულეშიც მოიყვანს.

„სიონში“ თამაშზე მეტრეველიც თანახმაა და მარტო მისი ნება რომ ყოფილიყო, ეგებ „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგაც ეთამაშა, თუმცა ფეხბურთელს სატრანსფერო ფურცლის უქონლობა აფერხებს. მეტრეველი ბოლოს უკრაინის ყველაზე ქართულ კლუბში, ტერნოპოლის „ნივაში“ ირიცხებოდა, რომლის შემადგენლობაშიც სულ ერთი-ორი მატჩი ჩაატარა, სეზონთშორის პერიოდში კი საქართველოში დაბრუნდა და სასურველი კლუბის ძიებას შეუდგა. იპოვა კიდეც. დღეიდან იგი ალბათ „სიონის“ სრულუფლებიანი წევრი გახდება.

„მეტრეველის საკითხთან დაკავშირებით ფედერაციაში ხვალ, ხუთშაბათს ვარ დაბარებული. არა მგონია, რაიმე პრობლემა შეგვექმნას. როგორც ვიცით, უკრაინელებმა სატრანსფერო ფურცელი უკვე გამოაგზავნეს. მას რომც დააგვიანდეს, ფეხბურთის ფედერაცია დროებით ტრანსფერს გასცემს. ასე რომ, კოტეს განაცხადში მაინც შევიყვანთ“ —გვითხრა გუშინ სპარტაკ არჩვაძემ.

შეგახსენებთ, მეტრეველი ბოლნისური კლუბის ღირსებას 1994-1997 წლებშიც იცავდა. მაშინ კოტე „სიონში“ „მეტალურგიდან“ მივიდა, სადაც მან საფეხბურთო კარიერა დაიწყო, „სიონის“ შემდეგ კი ქუთაისის „ტორპედოს“, სამტრედიის „იბერიისა“ და ზემოხსენებული „ნივას“ ღირსებას იცავდა. 26 წლის თავდამსხმელს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 85 თამაში ჩაუტარებია და 18 გოლი გაუტანია.

„სიონი“ მეტრეველით კი გაძლიერდება, მაგრამ, სპარტაკ არჩვაძის თქმით, ტრავმირებულების სახით დანაკლისიც დიდი აქვს. მურმან გოგოლაძე, არჩილ შაკიაშვილი, დავით სვანიძე და ლაშა ჩაგელიშვილი დაშავებულნი არიან და ვარჯიშს სავარაუდოდ კიდევ ორი კვირა ვერ დაიწყებენ. ნუკრი მინდიაშვილს კი ცოტა ხნის წინ ძმა, ასევე ფეხბურთელი მახარე მინდიაშვილი დაეღუპა და მას შემდეგ გუნდში არ გამოჩენილა. თუმცა, როგორც ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, ნუკრი ვარჯიშს რამდენიმე დღეში შეუდგება.

**ვანო ოქროპირიძე**



სპარტაკ არჩვაძე

# ცხრა უკვე არის, თორმეტიც იქნება!

**ფეხბურთის** ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის 3 სექტემბერს დაიწყება. ამის თაობაზე გუშინდელ „სარბიელშიც“ ვამცნეთ მკითხველს, თუმც კი უცნობი იყო, რამდენი გუნდი მიიღებდა მასში მონაწილეობას, ახლა კი ესეც გაირკვა. როგორც თავდაპირველად იყო დაგეგმილი, ისე იქნება — პირველ ლიგაში უმაღლესის მსგავსად 12 კლუბი ითამაშებს.

როგორც ცნობილია, ეროვნულ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა, 12 ათასი ლარი სრულად და დროულად მხოლოდ ქობულეთის „შუქურამ“ და ზესტაფონის „მეტალურგმა“ გადაიხადეს. „ხობმა“ და სამტრედიის „ოკეანემ“ თანხა არასრულად დაფარეს, დანარჩენ გუნდებს კი გუშინდლამდე თეთრიც არ შეეტანათ ფეხბურთის ფედერაციის სალაროში. ფედერაციამაც ითმინა, ითმინა და გადაწყვიტა: ჩემპიონატი 3 სექტემბერს დაიწყება და იმდენი გუნდი ითამაშებს, რამდენსაც ფული სრულად ექნება გადახდილიო.

გუშინ ვითარება შეიცვალა. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გვაცნობა, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა და განაცხადი ცხრა გუნდმა წარმოადგინა. მხოლოდ ბორჯომის „თორი“, ზუგდიდის „დინამო“ და ასკ დარჩნენ, მათაც ორ დღეს დააცდიან, მერე კი...

არავის ეგონოს, რომ თუ ამ გუნდებმა საწევრო არ შეიტანეს, პირველ ლიგაში ცხრა გუნდი ითამაშებს. არა, 3 სექტემბრიდან 12 კლუბი ჩაებმება გათამაშებაში. რეგიონალლიგის ფოთის „კოლხეთი 2“-ს, ხაშურის „ივერიას“, ყოფილ „ინტერს“ ახლა კი ქუთაისის „ტორპედო 2“-ს, „ჭაბუკიანს“, თბილისის ს.ა. „იბერიასა“ და სოხუმის „ცხუმს“ გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში განცხადებები შეუტანიათ, მზადვართ, პირველ ლიგაში სამონაწილეო თანხა დღესვე გადავიხადოთო. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გუნდები საწევროს გადახდისაგან თავისუფალნი კი არიან, მაგრამ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე თანხის შეტანაზეც თანახმაა, ოღონდ პირველ ლიგაში გვათამაშეთო. ფეხბურთის ფედერაციამაც საგანგებო კომისიის შექმნა გადაწყვიტა. ეს კომისია რეგიონალლიგის ზემოჩამოთვლილი ექვსი გუნდიდან სამ საუკეთესოს აარჩევს, რომლებიც „თორს“, „დინამოსა“ და ასკ-ს შეცვლიან, თუ, ცხადია ესენი ფულს 2 სექტემბრამდე არ შეიტანენ.

არმიელთა გასაჭირი დიდი ხანია ცნობილია. ყოფილმა თბილისის „არსენალმა“ უფულობის გამო შარშანდელი ჩემპიონატი ძლივს ჩაამთავრა და ახალს რომ ვერ იწყებს, გასაკვირი სულაც არ არის. აი, „თორისა“ და „დინამოსი“ კი გაგვკვირვებია. ბორჯომელები შარშან პირველ ლიგაში დასარჩენად დიდი ამბით იბრძოდნენ და შარშანდელი დებულება რომ არა, ეგებ უმაღლეს ლიგაში მოხვედრის ამბიციაც გასჩენოდათ, ახლა კი საწევრო ვერ შეუგროვებიათ. ასევე საოცარია ზუგდიდის „დინამოს“ ამბავიც. ამხელა რეგიონს ერთი კლუბის შენახვა პირველში კი არა, უმაღლეს ლიგაში არ უნდა უჭირდეს. როგორც ჩანს, ზუგდიდელებს ფეხბურთი დიდი ხანია აღარ აინტერესებთ.

**ვანო ოქროპირიძე**

# გაბელაია: მუხინი საჩვენოა

**სამიოდე** დღეა, უმაღლესი ლიგის ბინადარ თბილისის „მერანში“ უკრაინელი ლეგიონერი, 25 წლის ანდრეი მუხინი მივიდა. „მერანში“ გადმოსვლამდე იგი უკრაინის ჩემპიონატის მეორე ლიგის ერთ-ერთ ქვეჯგუფში, ლუგანსკის „ზარიაში“ თამაშობდა.

„კარგი პიროვნება ჩანს. ფეხბურთელიც ნორმალური უნდა იყოს. ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატში გამოგვადგება. ამპლუით ნახევარმცველია. საყრდენადაც შეუძლია თამაში, ფლანგებზეც და თავდამსხმელების უკანაც. „დილასთან“ მატჩის შემდეგ გუნდი დავასვენეთ, სამშაბათს აღდგენითი ვარჯიშები გვქონდა, დღესაც მოვერიდე დატვირთვების მიცემას, ხვალიდან კი ჩვეულებრივ გავაგრძელებთ მზადებას და მუხინის რეალური შესაძლებლობებიც მაშინ გამოჩნდება“ — გვიპასუხა გუშინ „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამ, როცა უკრაინელ ფეხბურთელზე პირველი შთაბეჭდილებების შესახებ დავეკითხეთ.

მწვრთნელმა ტრავმირებულ ოთარ როსტიაშვილზეც გვითხრა. იგი ჩემპიონატის დაწყებამდე დაშავდა და მას მერე მკურნალობს, ფეხზე ლაზერულ თერაპიას იკეთებს. როგორც გაბელაიამ აღნიშნა, როსტიაშვილმა ტრავმა ფაქტობრივად მოიშუშა, დაახლოებით ათ დღეში კი ფორმაშიც ჩადგება.

**ვანო ოქროპირიძე**

# იაშვილმა ფრაიბურგთან კონტრაქტი გააგრძელა

## ფოლკერ ფინკეს ქართველი თავდამსხმელი ძალიან სჭირდება

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა თავის კლუბთან, პირველი ბუნდესლიგის „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი წლინახევრით გააზანგრძლივა. თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად, იაშვილი „ფრაიბურგში“ 2000 წლის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, ახალ შეთანხმებას კი ვადა 2002 წლის მაისის ბოლოს გაუვა.

იაშვილი ამ გერმანულ კლუბში 1997 წლის შემოდგომაზე გადავიდა. გუნდის მთავარ მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს ქართველი ფორვარდი გერმანულ „ლიუბეკში“ თამაშისას მოუვიდა თვალში. უეფას თასზე თბილისის „დინამოსა“ და „ლევერკუზენის“ მატჩების შემდეგ კი მისი შეძენა საბოლოოდ გადაწყვიტა და სურვილიც მალე აისრულა.

იმ დროს პირველი ბუნდესლიგიდან ახალგავარდნილი „ფრაიბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში გამოდიოდა და ელიტაში დასაბრუნებლად იბრძოდა. ფინკემ ამ მიზანსაც მიაღწია, „ფრაიბურგი“ პირველ ბუნდესლიგაში აღზევდა, რაშიც თავისი წვლილი ალექსანდრე იაშვილმაც შეიტანა. სწორედ მისი კარგი თამაშის შემდეგ შეხედა ფინკემ ქართველ ფეხბურთელებს მოწყალე თვალით და ჯერ ლევან კობიაშვილი გადაიბირა, მერე — ლევან ცქიტიშვილი.

მწვრთნელმა ჩვენებურების შეძენით ნამდვილად მოიგო. ქართველები რომ „ფრაიბურგის“ ლიდერები არიან, ეს კვირას გერმანიის თასზეც გამოჩნდა. ფინკეს შეგირდებმა სტუმრად „პფულენდორფი“ 3:1 დაამარცხეს. ალექსანდრე იაშვილმა ამ მატჩში დუბლი შეასრულა, მესამე გოლი კი ლევან კობიაშვილმა შეაგდო.

იაშვილის გადაწყვეტილებამ „ფრაიბურგთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ ფოლკერ ფინკე ძალიან გაახარა. კმაყოფილი ვარ, რომ იაშვილმა გუნდში დარჩენა ისურვა. იგი „ფრაიბურგისთვის“ ძალიან საჭირო ფეხბურთელია. ეს ახალდაწყებულ სეზონშიც თვალნათლივ ჩანს“ — განუცხადა მწვრთნელმა ჟურნალისტებს.

„ფრაიბურგის“ ხელმძღვანელობამ იაშვილის სატრანსფერო ფასიც განსაზღვრა. რომელ კლუბსაც ქართველი ფორვარდის გადაბირება მოუნდება, მინიმუმ 3,5 მილიონი გერმანული მარკის გაღება მოუწევს.

შეგახსენებთ, ამჟამად იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილი ფრაიბურგში არიან, თუმც საქართველოს ნაკრებთან ერთად ემზადებიან. ხვალ, თბილისის დროით 20 საათზე, „დრაიზამშტადიონზე“ ამხანაგური მატჩია — „ფრაიბურგი“ საქართველოს ნაკრებს მასპინძლობს.

მართალია, შეხვედრა ამხანაგურია, მაგრამ ხვალ სტადიონზე, რომელიც 25 ათას ქომაგს იტევს და ბუნდესლიგის ყოველ თამაშზე გადაჭედილია, ბევრ მაყურებელს ელიან. ბილეთის ფასი 5-დან 25 გერმანულ მარკამდე მერყეობს.

**ვანო ოქრობირიძე**



ალექსანდრე იაშვილი (შუაში)



წლეულს ქინქლაძე პირველად „ნიუკასლთან“ მატჩში ქეცბაიასთან შეჯახებისას დაშავდა, ტალინის ტრავმამ კი სამი თვით დაასვენა

# ორი კვირა რა ამბავია...

## ჯიმ სმიტი ქინქლაძეს დიდხანს არ გააჩერებს

**ქინქლაძე** დაბრუნდა. საზარდულის ოპერაციის გამო უქმად მყოფმა ქართველმა სამშაბათს დერბის „ბეისბოლ გრაუნდზე“ პირველი 45 წუთი ითამაშა. იმ დღეს „დერბი ქაუნთის“ სათადარიგო გუნდმა „ჩარლტონთან“ 0:2 წააგო, თუმცა ადგილობრივი ფანობა დიდად არ განაწყენებულა: მთავარია, გიო ჯანზეა, მალკოლმ კრისტიმ კი ჩვეული ფორმა აღიდგინაო — ამბობდნენ.

„იმედია, ორ კვირაში სრულ მზადყოფნაში ვიქნები — უთხრა ქინქლაძემ დერბელ ჟურნალისტებს — „სამწუხაროდ, ტრავმამ სწორედ მაშინ შემახსენა თავი, როცა, ბოლოს და ბოლოს, ფორმაში ჩავდექი. ისე, ახლა რომ ვფიქრობ, ესტონეთთან ამხანაგურ მატჩში არ უნდა მეთამაშა. სწორედ მაშინ დავზარალდი და ოპერაციის გამო სეზონისწინა მზადება მთლიანად გამიცდა“.

ორ კვირაშიო, გიო კი ამბობს, თუმცა, როგორც ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, „დერბის“ მწვრთნელი ჯიმ სმიტი ამდენს არ მოიცდის და უკვე 6 სექტემბერს „მიდლსბროს“ წინააღმდეგ ქართველი ნახევარმცველით ითამაშებს.

რეზერვში თამაშობს კიდევ ერთი ჩვენებური პრემიერლიგელი რატი ალექსიძე. სათადარიგოთა ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში მისმა „ჩელსიმ“ 2:1 დაამარცხა „იფსვიჩ თაუნი“, რატიმ კი სეზონის გახსნა ჩინებული გოლით აღნიშნა. გუშინწინ ლონდონელებმა კვლავ მოიგეს, ამჯერად ლე ტისიეთი მოთამაშე „საუთჰემპტონთან“ 3:1. ალექსიძემ კვლავ 90 წუთი დაჰყო მოედანზე, თუმცა ამჯერად გოლი არ გაუტანია — სამჯერვე სემ პარკინი გამოირჩა.

**გიგა ძობახიძე**



# დემეტრაძეს გახელებამ ხელოზა გაახსენა

**რა** ახალი ამბავია, ფეხბურთი გოლია. გოლი კი პირველ რიგში თავდამსხმელმა უნდა გაიტანოს. მეკარემ არ უნდა გაუშვას, მცველმა ბურთი საჯარიმოს უნდა მოარიდოს, ნახევარმცველმა თავდამსხმელს ოსტატურად უნდა გადააწოდოს, მან კარში ზუსტად დაარტყას და ფეხბურთის პურიც გამოცხვება.

მილიონების თამაშის არსი საბავშვო ენაზე ისე ითქმის, როგორც ზევით მოგახსენეთ, მაგრამ ზოგჯერ ამის გამეორება საჭირო ხდება.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გიორგი დემეტრაძე ქართველ თავდამსხმელებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა. დემე ყოველთვის ფასობდა და დაფასდება ფეხმარდობით და გოლთა სიუხვით. მაგრამ ამ ბოლო ხანს დემეტრაძეს უიღბლო პერიოდი ედგა, არათუ გოლი გოლზე, საერთოდ ველარ გაჰქონდა და კიევის „დინამოს" ხელმძღვანელობას ქართველი ლეგიონერისთვის ზემოთმოხმობილი ჭეშმარიტების შეხსენება მოუხდა.

იქამდე, „დინამოს" სარეზერვო გუნდშიც კი ათამაშეს გიორგი და უიღბლობამაც გაიარა, უკან დარჩა.

დემეტრაძე ათამაშდა, უფრო სწორად, გატანა განაახლა ჯერ სათადარიგო გუნდში, მერე კი უკრაინის უმაღლეს ლიგაშიც გაიტანა და თანაც ერთბაშად იმდენი, უკრაინაში მოთამაშე ყველა ქართველს ერთად აღებული წინა შვიდ ტურში რომ გაეტანა.

ქართველმა ნავსი ქართველებთან მატჩში დაამსხვრია. თანაც დემეტრაძეს თანამემამულემვე, ტრავმამოშუშებულმა კახი კალაძემ გაუწია ასისტენტობა. გიორგიმ ტერნოპოლში ჩასული კიეველები მეორე წუთზევე დააწინაურა. ამას თამაშის ცენტრიდან განახლებისთანავე კარგი პასი მოაყოლა, თანაგუნდელ მოროზს გაატანინა, რომელმაც შესვენებამდე ჰეთ თრიქიც შეასრულა.

მეორე ტაიმში უკვე დემეტრაძემ გაიტანა სამი და პოკერი გამოუვიდა.

ტერნოპოლელთაგან შოთა ჩომახიძის პასით ავთანდილ კაპანაძემ და ბოლო წუთზე კახაბერ დგებუაძემ გაიტანეს, ეს კი დემეს ოთხ გოლთან, აბა, რა მოსატანია.

კიეველთა ქართველი თავდამსხმელის ასეთი გახელება იოლი ასახსნელია. გიორგი დემეტრაძეს იმდენ ხანს არ გაეტანა, გოლი ისე მონწყურებოდა, ჰეთ თრიქმა კი ვერ დაარწყულა, მეოთხეც გაიტანა. რაც მთავარია, დემეტრაძემ საკუთარი შესაძლებლობების შერყეული რწმენა განიმტკიცა და მატჩის შემდეგ თქვა: კიევის „დინამოში" მოხვედრისთანავე იმას ვცდილობდი, ის დიდი ნდობა და მოლოდინი გამემართლებინა, რასაც კიეველები იჩენდნენ. თავიდან თამაში რომ არ გამომდიოდა, ვნერვიულობდი, მაგრამ შემდეგ დავმშვიდდი, ჩემი შეცდომები გავაანალიზე. ყველა თამაშზე გოლის გატანის დიდი სურვილით ანთებული გავდიოდი. ვიცოდი, ამ უიღბლობას ბოლო მოეღებოდა. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გავაგრძელებ და დავამტკიცებ, რომ ჩემს სანაცვლოდ გადახდილი ფული წყალში არაა გადაყრილი"

აი, „ნივას" კი მთავარ მწვრთნელ ვალერი ბოგუსლავსკისთვის გადახდილი თანხა წყალში გადაეყარა — ბოგუსლავსკი დემეტრაძის მესამე გოლის შემდეგ გასახდელში შევარდა და გუნდიდან უკანმოუხედავად მოკურცხლა. 6 ქართველის — ტყუპ კაპანაძეთა, დგებუაძის, სიხარულიძის, ჩამახიძის და ადეიშვილის („ნივა 2"-ში თამაშობს) გუნდი უმთავარმწვრთნელოდ დარჩა.

უკრაინელ ლეგიონერებს უფრო საინტერესო არა გადახდენიათ:

კვლავ მშრალზე დარჩენილი მიხეილ ფოცხვერიას „დნიპრო" ისევ პირველია.

დისკვალიფიცირებული ივან გეცკოს არყოფნაში „კრივბასმა" ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა ალექსანდრე კაიდარაშვილი, რომელმაც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და კრივიირიიხელები მარცხისგან ვერ იხსნა.

ვიტალი დარასელიას, გოჩა ტრაპაიძესა და ვასილ გიგიაძეს, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, წუთით არ უთამაშიათ, თუმცა მათმა კლუბებმა ისედაც იხეირეს — ცსკა-მ შინ ზაპორიჟიის „მეტალურგთან" 4:1 მოიგო, „ტავრიამ" კი სტუმრად „ვორსკლასთან" უგოლო ფრე ითამაშა.

გოლებიანი მატჩი ჰქონდათ „ფრაიბურგის" ქართველებ. გერმანიის თასის პირველი ეტაპის შეხვედრაში ფოლკერ ფინკეს გუნდმა 3:1 მოუგო სამოყვარულო „პფულენდორფს". სამივე ქართველმა ძირითადში ითამაშა, წლეულს პირველად — ლევან ცქიტიშვილმა. სამივე გოლიც ჩვენებურებმა გაიტანეს — ორი ალექსანდრე იაშვილმა და ერთიც ლევან კობიაშვილმა.

არჩილ არველაძის კიოლნი კი რეგიონალლიგელ „მაგდებურგთან" 2:5 წაგებით გავარდა, ისევე როგორც უსაჯაიო „როიტლინგენი" ბუნდესლიგელ „ჰერტას" დაეჩაგვრინა. მიხეილ საჯაიას გარეშე მოთამაშე მეორებუნდესლიგელებმა ძირითად დროში 2:2 გაახერხეს და მხოლოდ დამატებით დროში გაშვებული ერთი გოლით დამარცხდნენ მრისხანე მეტოქესთან.

ინგლისში თამაში განაახლა გიორგი ქინქლაძემ, ოღონდ ჯერ მხოლოდ სარეზერვო გუნდში. მის და ასევე რეზერვებში მოთამაშე რატი ალექსიძის ამბავს მეორე გვერდშიც წაიკითხავთ და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

პირველდივიზიონელ თემურ ქეცბაიაზე კი გეტყვით: „ლეგიონერების" წინა გამოშვების შემდეგ „ვულვზმა" ორჯერ ითამაშა და მოგება-წაგებას გამორჩა. ქეცბაიამ მეორე წაგებულ მატჩში შეძლო გატანა, ისიც პირველი ტაიმის წამატებულ დროში, ანუ მაშინ, როცა მგლები უკვე 0:3 აგებდნენ. მაგრამ როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, თემური თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო და გოლიც სანაქებო გაიტანა.

შოტლანდიური „დანდის" გიორგი ნემსაძე იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ მხოლოდ ერთ ტაიმს ათამაშა და მერე თავადვე შეცვალა. „დანდიმ" ამის შემდეგ გატანა კი შეძლო, მაგრამ კიდეც გაუშვა და „ჰართსთან" საშინაო ქულას დასჯერდა.

ჰოლანდიაში ჩინებული სტარტის შემდეგ დიდი ანგარიშით დამარცხდა შოთა არველაძის „აიაქსი". არველაძემ პირველივე ტურის 5:0 მოგებულ მატჩში ორჯერ რომ შეაგდო გოლი, მათგან პირველი თურქეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატებში მეასე გატანილი იყო.

შვეიცარიაში ივარგეს ქართველებმა და მათმა გუნდებმაც. ლევან ხომერიკმა ნოიშატელში „ქსამაქსს" დუბლი გაუტანა და „არაუმ" 5:1 მოიგო, „ციურიხმა" კი 3:3 ითამაშა სტუმრადვე „სიონთან". ამ სამიდან ერთი, პირველი გოლი მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა.

რუსეთში აღსანიშნი ის მოხდა, რომ „ალანიას" დაუბრუნდნენ მიხეილ აშვეთია და მამუკა წერეთელი. სამაგიეროდ, რუსულ უმაღლეს ლიგას თბილისურ „ლოკომოტივში" გადმობარგებული ლევან სილაგაძე და მასზე ცოტა ადრე „ანჟიდან" წამოსული ალექსანდრე გოგობერიშვილი დააკლდნენ.

ისრაელში საშინაო მარცხი იწვნია გივი დიდავას თელავივურმა „მაკაბიმ", რომლის თავკაცი შლომო შარფი უმუშევარი დარჩა. ერთადერთი გოლი ნეთანიელებმა კუთხურიდან, დიდავას შეცდომის შედეგად გაიტანეს.

სამაგიეროდ, 2:0 გაიმარჯვა კობა წიტაიშვილის „რიშონმა" და უფრო სასიამოვნო ისაა, რომ ლეციონელები 27-ე წუთზე გატანილით წიტაიშვილმავე დააწინაურა.

მოლდოვაში ცხრილს „ზიმბრუ" მოექცა სათავეში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „შერიფ" — „ნისტრუს" მატჩი გადაიდო, „ზიმბრუმ" კი შინ „ოლიმპიასთან" 3:0 გაიმარჯვა. ბოლო გოლი ლადო ახალაიამ გაიტანა, რომელსაც წლეულს ძირითადად შეცვლებზე მოთამაშეს, ჩინებული სტარტი აქვს კიშინიოვურ კლუბში და ახლა სასტარტოში ადგილის მოსაპოვებელ არგუმენტად გოლიც გამოიყენა.

ისე, გაუგებარია, რატომ არ მოხვდა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა არეალში ლევან გვაზავას თანაგუნდელი. მითუმეტეს, რომ ტრავმების გამო გვაზავა „ზიმბრუს" მუდმივი რეზერვია.

**ვახტანგ ჭყიძაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ქვეყნის თასის პირველი ეტაპი | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | პფულენდორფი 3:1 | 83 | 2 გოლი, შეცვალეს | 1 | 2 | |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | პფულენდორფი 3:1 | 90 | 1 გოლი | 1 | 1 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | პფულენდორფი 3:1 | 90 | | 1 | 0 | |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | მაგდებურგი 2:5 | 78 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | ჰერტა 2:3დ.დ. | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ევერტონი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდში ითამაშა | 0 | 0 | 18 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ასტონ ვილა 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდში ითამაშა | 0 | 0 | 10 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | ბარნლი 1:0 | 81 | შეცვალეს | 3 | 1 | 8 |
| | ვულვზი | ს | პორტსმუთი 1:3 | 90 | 1 გოლი | 4 | 2 | 15 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰართსი 1:1 | 45 | შეცვალეს | 5 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | სპარტა 0:3 | 45 | შეცვალეს | 2 | 2 | 7 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | უტრეხტი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ვესტერლო 0:1 | 90 | | 2 | 0 | 6 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | გენტი 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 18 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | სიონი 3:3 | 90 | | 7 | 2 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | სიონი 3:3 | 90 | 1 გოლი | 6 | 2 | 12 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ქსამაქსი 5:1 | 90 | 2 გოლი | 8 | 2 | 7 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | სატურნი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 2 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | შ | ნ.ნოვგოროდი 3:1 | 0 | ტრავმირებული იყო | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ტორპედო 2:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 4 | 10 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | ტორპედო 2:1 | 90 | | 14 | 0 | 10 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | დინამო 0:2 | 0 | სათადარიგო | 6 | -11 | 13 |
| ზურაბ ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | ს | სპარტაკი 1:3 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზენიტი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| გიორგი დავითნიძე | ურალანი | შ | ჩერნომორეცი 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 16 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | შ | ლ.ჩიტა 4:1 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 2 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | ს.ნალჩიკი 1:0 | 90 | | 17 | 0 | 7 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | ვოლგარი 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 0 | 8 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | ბალტიკა 1:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 11 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | შინიკი 0:3 | 90 | | 22 | 0 | 14 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | ნივა 7:3 | 90 | 1 საგოლე პასი | 2 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | ნივა 7:3 | 90 | 4 გოლი, 1 საგოლე პასი | 7 | 5 | 2 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | მეტალისტი 0:1 | 90 | | 2 | 0 | 10 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | მ.ზაპორიჟია 4:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 5 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 9 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ვორსკლა 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 9 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | ს | სტალი 1:0 | 88 | შეცვალეს | 5 | 0 | 1 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | დინამო 3:7 | 79 | 1 გოლი, შეცვალეს | 6 | 2 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | დინამო 3:7 | 90 | | 6 | 0 | 12 |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | დინამო 3:7 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 8 | 2 | 12 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | დინამო 3:7 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | შ | დინამო 3:7 | 90 | 1 საგოლე პასი | 4 | 1 | 12 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გივი დიდავა | მ.თელ ავივი | შ | მ.ნეთანია 0:1 | 88 | შეცვალეს | 3 | 0 | 7 |
| კობა წიტაიშვილი | ი.რიშონი | ს | ჰ.ფეთაჰ თიქვა 2:0 | 90 | 1 გოლი, შეცვალეს | 3 | 1 | 9 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | სტომილი 0:0 | 86 | შეცვალეს | 1 | 0 | 15 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 4 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 11 | 1 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 90 | | 12 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 38 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 54 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 4 | 1 |
| ლევან კორლალიძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | მეტალურგსი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 3 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | ვენტსპილსი 0:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 1 | 8 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | ვალმიერა 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 8 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ზიმბრუ | შ | ოლიმპია 3:0 | ? | 1 გოლი | ? | 1 | 1 |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | ოლიმპია 3:0 | ? | | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ნისტრუ | | გადაიდო | 3 | 0 | 4 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | ნისტრუ | | გადაიდო | 2 | 1 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## რონალდ დე ბური



დაიბადა 1970 წლის 15 მაისს ჰოორნში, ტყუპისცალ ფრანკზე ერთი წუთით გვიან.

1984: ძმასთან ერთად ჩაირიცხა ამსტერდამის „აიაქსის“ ბავშვთა სკოლაში.

1987: 21 ნოემბერს პირველად ითამაშა „აიაქსში“. „ზვოლეს“ წინააღმდეგ მატჩში „აიაქსის“ მაშინდელმა მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა ის შეცვლაზე ათამაშა. იმ სეზონში ჩაატარა მხოლოდ ორი შეხვედრა.

1988: დამკვიდრდა „აიაქსის“ სასტარტო შემადგენლობაში.

1990: „აიაქსთან“ ერთად გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი.

1991: გადავიდა „ტვენტეში“, თუმცა 1992-93 წლების სეზონის შუაში დაუბრუნდა „აიაქსს“.

1993: 24 მარტი — სანაკრებო დებიუტი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჰოლანდიამ უტრეხტში უმასპინძლა სან მარინოს და 6:0 დაამარცხა. მეხუთე გოლი 67-ე წუთზე დე ბურმა პენალტით გაიტანა.

1994: გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, ხოლო ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

1995: „აიაქსთან“ ერთად მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონატი, ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

1996: კვლავ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე ინგლისში.

1998: მოიგო ჰოლანდიის ჩემპიონატი და თასი. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ბრაზილიის წინააღმდეგ მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში ვერ გაიტანა.

1999: 15 იანვარს ძმასთან ერთად გადავიდა „ბარსელონაში“. ორივეში ერთად კატალონიურმა კლუბმა 22 მილიონი დოლარი გადაიხადა. იქამდე „აიაქსში“ ითამაშა 296 შეხვედრაში და გაიტანა 62 გოლი. ორჯერ იყო დასახელებული ჰოლანდიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

1999: სადებიუტო მატჩში, ესპანეთის თასზე, გაიტანა გოლი, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში ფეხის მოკიდება გაუჭირდა. სეზონის ბოლომდე ითამაშა 13-ჯერ. პირველივე ბარსელონურ სეზონში გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

2000: ტრავმების გამო ნახევარი სეზონი გაუცდა. ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე. სულ ნაკრებში ჩაატარა 61 მატჩი.

2000: 30 აგვისტოს საბოლოოდ შეათანხმა კონტრაქტის პირობები „რეინჯერსთან“.

# ბარსელონაში უშანსო რონალდ დე ბური თითქმის რეინჯერსელია

გუშინ საღამოს გლაზგოს „აიბროქსზე“ მისულ ფოტორეპორტიორებს საშუალება ჰქონდათ, „რეინჯერსის“ მაისურიან რონალდ დე ბურისთვის სურათები გადაეღოთ. თუმც რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ჰოლანდიელი ნახევარმცველი „რეინჯერსის“ საკუთრება ჯერაც არ არის. ეს მით უფრო უცნაურია, რომ დღეს-ხვალ ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდთათვის უეფაში განაცხადების შეტანის ვადა იწურება. „რეინჯერსი“ კი ლიგაშია. ჰოდა, საქმე მოსწრებაზეა...

ამ უქმეებზე ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ირლანდიას მასპინძლობს და ახლა ქალაქ ჰენდერლოში ვარჯიშობს. გუშინ დილით ჰოლანდიელთა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ნაკრების კაპიტნის ტყუპისცალს გლაზგოში წასვლის ნება მისცა, ოღონდ იმ პირობით, რომ საღამოსვე უკან დაბრუნდებოდა.

რონალდი შოტლანდიაში გადაფრინდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები, რომელიც მის შოტლანდიაში ოთხი წლით დარჩენას ითვალისწინებს. რაღა რჩებოდა? ერთი ხელმოწერაც და დე ბურისა და „ბარსელონას“ გზები საბოლოოდ გაიყრებოდა. ამასთანავე ესპანური და შოტლანდიური კლუბები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ — დაუზუსტებელი მონაცემებით ფეხბურთელის სანაცვლოდ „ბარსელონა“ 7,2-დან 8,6 მილიონამდე დოლარს მიიღებს. მაგრამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციიდან გლაზგოში საჭირო დოკუმენტების გაგზავნა დაყოვნდა, რის გამოც რონალდ დე ბურის მიერ „რეინჯერსთან“ კონტრაქტზე ხელმოწერის ერთწუთიანი საქმეც გადაიდო. ფეხბურთელი გუშინ საღამოსვე ჰოლანდიაში დაბრუნდა, თუმცა დღეს ან ხვალ კვლავ მოუწევს „რეინჯერსის“ მესვეურებთან შეხვედრა. ტრანსფერი რომ პრაქტიკულად შემდგარია, დე ბურისთვის „რეინჯერსის“ მაისურის გადაცემაც მოწმობს, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვით.

ახლა „ბარსელონას“ დატოვების მიზეზებზეც. ლუის ვან გაალის დროს ფეხბურთელი ტრავმებს ჰყავდა გაწამებული, რის გამოც ის კატალონიაში გატარებული სეზონნახევრის მანძილზე მხოლოდ 33-ჯერ გავიდა მინდორზე.

დე ბური მომჯობინდა, მაგრამ გუნდს ვან გაალი აღარ წვრთნის, ხოლო ლორენს სერა ფერერი ტყუპისცალს არ სწყალობს. თავად ფეხბურთელი ამბობს: „ბარსელონაში“ დასარჩენად არანაირი საბაბი აღარ გამაჩნია. იქ თამაშის შანსი არ მომეცემა, ეს ნათლად მაგრძნობინეს. გუნდში მე-16 თუ მე-17 კაცად ყოფნის სურვილი კი არ მაქვს, რადგან ჩინებულ ფორმაში ვარ.“

ფეხბურთელის წასვლას კმაყოფილებით შეხვდა კატალონიური პრესა. იქაური გაზეთი „სპორტი“ წერს, რონალდ დე ბური უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდაო.

როცა რონალდ დე ბურის „რეინჯერსში“ გადასვლა საბოლოოდ გაფორმდება, ის იქნება მეექვსე ჰოლანდიელი, ვინც დიკ ადვოკაატმა, „რეინჯერსის“ ახლანდელმა და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა შოტლანდიურ კლუბში გადაიყვანა.

დე ბურის გარდა მალე დასრულდება „რეინჯერსის“ მოლაპარაკებები სხვა ფეხბურთელებთანაც. ამ კვირაშივე უნდა გაირკვეს, გახდებიან თუ არა რეინჯერსელები ესპანიოლელი რაულ ტამუდო (რაზეც გუშინაც ვწერდით) და „უიმბლდონის“ უელსელი მოთამაშე ჯონ ჰარტსონი. მასში გლაზგოელები 11 მილიონ დოლარსაც არ იშურებენ.

„რეინჯერსის“ თავმჯდომარის დევიდ მურის თქმით, მართალია, ემილ მპენზას და დარკო კოვაჩევიჩის გადაბირება ვერ მოხერხდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგას მაინც გაძლიერებული შემადგენლობით შეხვდებიან.

ბოლოს ორიოდე სიტყვით „ბარსელონაზეც“ ვთქვათ. გუშინდლიდან მასში ფრანგი ფრედერიკ დეუ აღარ ირიცხება. კატალონიელებმა ერთი წლის წინ ნაყიდი ფეხბურთელი სამშობლოში დააბრუნეს. „პარი სენ ჟერმენმა“ დეუში 5,2 მილიონი დოლარი გადაიხადა. დეუს ახალი კონტრაქტი ოთხწლიანია.

**გიორგი დარჯანია**

# რაიო ვალეკანოს მოკვეთით ემუქრებიან

**ფეხბურთის** ქართველმა ქომაგებმა გიორგი ქინქლაძის ტრანსფერებთან დაკავშირებით „დინამო“-„მრეტების“ დაუსრულებელი დავის ამბავი კარგად იციან. თავის დროზე „დინამომ“ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი სამი მილიონ ორასი ათას დოლარად მიჰყიდა. „მრეტები“, კონტრაქტის თანახმად, ამ თანხიდან თავის წილს ითხოვს. ისიც გავიხსენოთ, რომ კლუბები ვერ შეთანხმდნენ და საქმის გარჩევა ფიფამ იკისრა. საბოლოოდ „დინამო“ გაამტყუნეს.

ასეთივე სიტუაციაა შექმნილი ესპანეთშიც. რამდენიმე დღის წინ „რაიო ვალეკანოს“ ოფისში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციიდან წერილი მივიდა, რომელშიც ესპანური ფეხბურთის მამები კლუბს აფრთხილებენ, ძველ ვალებს თუ არ გაისტუმრებთ, პრიმერა-დივიზიონიდანაც მოგკვეთთ და უეფას თასიდანაცო. ვადაც დაუთქვეს — 10 სექტემბრამდე.

ძველი საქმეა. 1996 წელს მადრიდელებმა არგენტინული „ინსტიტუტოდან“ ვინმე დიეგო კლიმოვიჩი გადაიბირეს. არგენტინელებთან კი ისეთივე კონტრაქტი გააფორმეს, როგორიც „დინამომ“ „მრეტებთან“, ანუ თუ „ვალეკანო“ კლიმოვიჩს გაყიდიდა, ტრანსფერის ღირებულების ნაწილი „ინსტიტუტოსაც“ უნდა რგებოდა. ესპანელებმა ფეხბურთელი ორი წლის მერე გაასხვისეს, არგენტინულ კლუბს კი ჯერაც არაფერი მიუღია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბავმა ფიფას ყურამდეც მიაღწია. ფიფა საქმეს განიხილავს, თუმცა ესპანელთა გასამტყუნებლად ჯერ არაფერი უთქვამს.

მადრიდელები არ უარყოფენ, რომ კორდობელთა („ინსტიტუტო“ ამ ქალაქის გუნდია) ფული მართებთ, მაგრამ თანხას ბევრად ნაკლებს ასახელებენ, ვიდრე მოდავე მხარე ითხოვს — არგენტინელები 1,415 მილიონ დოლარს ამბობენ, რაზეც ესპანელები პასუხობენ, გნებავთ, 101 ათას გიბოძებთ, თუ არადა კარგად ბრძანდებოდეთო.



პრეზიდენტი ტერეზა რივერო

ვინ არის მართალი? რაკიღა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ „რაიო ვალეკანოს“ ულტიმატუმი წაუყენა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მართლები არგენტინელები არიან. თუმცა არსებობს საპირისპირო პოზიციაც. გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში მადრიდელთა პრეზიდენტი ქალბატონი ტერეზა რივერო (ერთადერთი ქალი პრეზიდენტი ესპანურ კლუბებში) ამბობს: „ფედერაციის მუქარას ყურადღებას არ ვაქცევ. კლიმოვიჩის საქმე გარკვეულია და მოკვეთას ვერავინ გაგვიბედავს. ეს ფუჭი სიტყვებია“.

რა გამოდის? დონა ტერეზა ისე არხეინადაა, თავი ქუდში უნდა ჰქონდეს. მეორე მხრივ — ფედერაციის ულტიმატუმი, ფიფაც პასიურობას იჩენს. მოკლედ, დაიბნევა კაცი.

**გიორგი დარჯანია**




# ციგეოზა ინგლისშრად

**„ახლა** უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრისტიან ციგე ჩვენი კლუბის ფეხბურთელია“ — განაცხადა გუშინ „ლივერპულის“ პრეს-მდივანმა. მაშ ასე, გერმანელი მცველის ორთვიანი ჭიდილი ყოფილ კლუბ „მიდლსბროსთან“ დამთავრდა და ფეხბურთელიც რივერსაიდიდან მერსისაიდში გადაბარგდა.

ამის მისაღწევად ბუნდესნაკრების წევრს ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში სირბილმაც კი მოუწია. არა და არ სურდა „მიდლსბროს“ გამოცდილი მცველის გაშვება, მაგრამ მოსამართლემ ციგეს კონტრაქტში ჩაიხედა, იქ საჭირო პუნქტი აღმოაჩინა და გადაწყვეტილებაც მიიღო — თუ „ლივერპული“ ხუთნახევარ მილიონ გირვანქას გადაიხდის, ფეხბურთელის დაკავების უფლება აღარავის აქვსო. ჟერარ ულიემ კლუბის ხელმძღვანელობას საჭირო თანხა გამოართვა და წადილიც აისრულა.

„კმაყოფილი ვარ. ციგე მეტად გამოცდილი მცველია და ჩვენს მარცხენა ფრთას ერთობ გააძლიერებს“ — ამბობს ლივერპულელთა ფრანგი თავკაცი.

პრობლემა მოგვარდა, თუმცა ერთი რამ ჯერჯერობით გაურკვეველია: ითამაშებს თუ არა ციგე უეფას თასზე, სადაც განაცხადების მიღება დღეს წყდება, კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტის ხელმოწერა კი შაბათამდე ვერ ხერხდება. ასეა თუ ისე, „ლივერპულის“ მესამე გერმანელი ლეგიონერის (დიტმარ ჰამანის და მარკუს ბაბელის შემდეგ) დებიუტი ახალი გუნდის შემადგენლობაში, ალბათ, 6 სექტემბერს შედგება — „ენფილდ როუდზე“ ბირმინგემის „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ.

## უკრაინა

მე-8 ტურის მატჩი: ვორსკლა — ტავრია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 8 | 5 | 2 | 1 | 9:4 | 17 |
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| შახტარი | 6 | 5 | 0 | 1 | 21:5 | 15 |
| ცსკა | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | 13 |
| მეტალურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:9 | 13 |
| კარპატი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:9 | 12 |
| მეტალისტი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:12 | 12 |
| ტავრია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| მარიუპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | 11 |
| კრივბასი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:8 | 10 |
| ზაპოროჟიე | 8 | 2 | 1 | 5 | 8:15 | 7 |
| ნივა | 8 | 1 | 3 | 4 | 7:16 | 6 |
| სტალი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | 4 |
| ვორსკლა | 8 | 0 | 1 | 7 | 2:12 | 1 |

## ინგლისი

I დივიზიონი. IV ტური

**კრიუ 2:0 გრიმსბი**

1:0 რივერსი (13), 2:0 ჯაკი (75)
5 305 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| უოტფორდი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ბოლტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბლექბერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ბირმინგემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| პრესტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ნოტინგემი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბარნსლი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| შეფილდ იუნ. | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| უებსდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| პორტსმუთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| სტოკპორტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ვულვზი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| ქუინზ პარკი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბარნლი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ჰადერსფილდი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| კრ. პალასი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ტრანმერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| კრიუ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| უიმბლდონი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| ჯილინგემი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| ნორვიჩი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |
| გრიმსბი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თმბერვლამდე უგვარდიოლოდ



**სამშაბათ** საღამომდე ყველაფერი კარგად იყო. ესპანეთის ნაკრები, რომელსაც ამ უქმეებზე სარაევოში, ბოსნიელთა წინააღმდეგ უწევს თამაში, ვალენსიაში გადიოდა საწვრთნელ შეკრებას. საღამოს ვარჯიშზე კი გვარდიოლა დაიმტვრა.

რენტგენმა აჩვენა, რომ ფეხბურთელს კოჭის მყესები აქვს დაზიანებული. ტრავმა რამდენად სერიოზულია, რამდენიმე დღეში გაირკვევა. ნაკრების ექიმი ჯენარო ბორასი ამბობს, რომ გვარდიოლას საუკეთესო შემთხვევაში სამი კვირა გაუცდება, თუმც შესაძლოა, ოპერაცია გახდეს საჭირო. ამ შემთხვევაში ის ხუთ თვეს დაკარგავს.

უსიამოვნო ცნობამ „ბარსელონას" მწვრთნელი ლორენს სერა ფერერი საგონებელში ჩააგდო: „ყველამ ვიცით, რომ გვარდიოლა შეუცვლელია. ექიმებს ჯერ საბოლოო პასუხი არ უთქვამთ და ფიქრიც კი მზარავს იმის შესახებ, რომ შეიძლება იგი დიდი ხნით გამოგვაკლდეს".

გვარდიოლას დამტვრევამ ხოსე ანტონიო კამაჩოსაც აურია გეგმები. ნაკრებში გამოთავისუფლებული ადგილის შესავსებად მწვრთნელმა გვარდიოლას თანაგუნდელ დანი გარსიას უხმო. მთავარი პრობლემა კი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ვინ შეასრულებს მინდორზე კატალონიელის ფუნქციას? ფიქრობენ, რომ ეს ალბერტ სელადესი იქნება, მაგრამ არაა გამორიცხულ, კამაჩომ თავისი არჩევანი ივან ელგერაზე, გაისკა მენდიეტაზე ან ხერარდზე შეაჩეროს.

# ბოლი ტკბილია, ბოლო მწარეა



მარკ კენედი და ფილ ბები პოლიციამ გამოაფხიზლა

**დუბლინის** პოლიციამ ორი ირლანდიელი ფეხბურთელი დააკავა. ფილ ბები და მარკ კენედი სამშაბათ დილას ქალაქის ცენტრალურ პარკში გადაყრიან ერთმანეთს და რაღაც ბალახების წევით ფილტვები დაუხეთქიათ, გონებაც დაბნელებიათ. მერე იქვე მდგომ მანქანაში ქალი შეუნიშნავთ და გაარშიყება მონდომებიათ. ქალი მათი ჭკუისა არ გამოდგა, რის გამოც გაბრაზებულ ბებისა და კენედის ჯავრი მის მანქანაზე უყრიათ.

იმავე დღეს დუბლინელმა მოსამართლემ საქმის გარჩევის დრო დათქვა — 13 ნოემბერი. იქამდე კი წესრიგის დამრღვევები თავდებით გაუშვეს, რაც თითოეულს 740 გირვანქა დაუჯდა. სასამართლოს დარბაზში ჭკუაზე მოსულმა ფეხბურთელებმა, თავისდა გასაოცრად, დანაშაულის ერთი დეტალიც შეიტყვეს, თურმე პოლიციის საპატრულო მანქანა დაულეწავთ და შესაბამისად, შიგ მჯდომი ქალიც პოლიციელი ყოფილა.

ბების და კენედის ჯიბეები 740 გირვანქით შეთხელებას როგორმე აიტანს, ეგებ პატიმრობიდანაც დაიძვრინონ თავი, მაგრამ ირლანდიის ნაკრებთან დამშვიდობება უკვე მოუხდათ. მწვრთნელი მიკ მაკარტი ორივეს ჰოლანდიასთან სათამაშოდ ამზადებდა. ეს გუნდები ამ უქმეებზე მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩს გამართავენ. ახლა კი მაკარტი ამბობს: „ბები და კენედი ნაკრებიდან გავრიცხე. ამ გადაწყვეტილებას ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციაც ეთანხმება".

მცველი ფილ ბები ლისაბონის „სპორტინგში" თამაშობს, თავდამსხმელი მარკ კენედი კი „მანჩესტერ სიტის" ღირსებას იცავს.

**შვეიცარია**

**B ჯგუფი**

**გადადებული მატჩები**

**ბელინცონა 4:1 ბადენი**

**კარუჟი 0:3 ვილი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ევროპა. 2-3 სექტემბერი

### ისლანდია — დანია

*ისლანდია:*

*მეკარეები: ბირკირ კრისტინსონი (ვესტმანაეიარი), არნი გუტარ არასონი (რუსენბორგი, ნორვეგია);*

*მცველები: რუნარ კრისტინსონი (ლილესტრიომი, ნორვეგია), სიგურდურ იონსონი (აკრანესი),ეიოლფურ სვერისონი (ჰერტა, გერმანია), პეტურ მარტეინსონი (სტაბეკი, ნორვეგია), არნარ ვიდარსონი (ლოკერენი, ბელგია);*

*ნახევარმცველები: არნარ გრეტარსონი (ლოკერენი, ბელგია), ბორდურ გუდიონსონი (ლას პალმასი, ესპანეთი), ბრინიარ გუნარსონი (სტოკ სიტი, ინგლისი), აუდუნ ჰელგასონი (ვიკინგი, ნორვეგია), ტრიგვი გუდმონსონი (ტრომსიო, ნორვეგია), ეიდურ გუდიონსენი (ჩელსი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: რიკარდურ დადასონი (ვიკინგი, ნორვეგია), ჰელგი სიგურდსონი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ჰერმან ჰრეიდარსონი (იფსვიჩი, ინგლისი), ჰელგი კოლვიდსონი (ულმი, გერმანია), ჰეიდარ ჰელგუსონი (უოტფორდი, ინგლისი)*

### ბელარუსი — უელსი

*ბელარუსი:*

*მეკარეები: გენადი ტუმილოვიჩი (დინამო, რუსეთი), იური აფანასენკო (დინამო, მინსკი), ვასილი ხომუტოვსკი (ვალდჰოფი, გერმანია), ვიტალი ვარივონჩიკი (იარო, ფინეთი);*

*მცველები: სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ანდრეი ოსტროვსკი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), ანდრეი ლავრიკი (ლოკომოტივი, რუსეთი), ერიკ იახიმოვიჩი, სერგეი შტანიუკი (ორივე დინამო, რუსეთი), ალექსანდრ ლუხვიჩი (ტორპედო, რუსეთი), სერგეი იასკევიჩი (ანჟი, რუსეთი), ვლადიმირ შუნეიკო (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ედუარდ ბოლტრუშევიჩი (ბელშინა), ალექსანდრ ხრაპკოვსკი, არტიომ ჩელიადინსკი (ორივე დინამო, მინსკი);*

*ნახევარმცველები: ვალენტინ ბელკევიჩი, ალექსანდრ ხაცკევიჩი (ორივე დინამო, უკრაინა), ვიაჩესლავ გერაშჩენკო (სლავია), რადისლავ ორლოვსკი (ტორპედო, რუსეთი), ვადიმ სკრიპჩენკო (ბატე), იური შუკანოვი (ფაკელი, რუსეთი), ანდრეი მილევსკი (შახტარი, უკრაინა);*

*თავდამსხმელები: მაქსიმ რომაშჩენკო (დინამო, რუსეთი), ნიკოლაი რინდიუკი (კრისტალი, რუსეთი), რომან ვასილიუკი (სლავია)*

### ფინეთი — ალბანეთი

*ფინეთი:*

*მეკარეები: ანტი ნიემი (ჰართსი), ჯუსი იასკელაინენი (ბოლტონი, ინგლისი);*

*მცველები: სემი ჰიიპია (ლივერპული, ინგლისი), იანე საარინენი (ჰიკ ჰელსინკი), იანე სალი (ჰაკა), ჰანუ ტიჰინენი (ვიკინგი, ნორვეგია), არნო ტურპინენი (ჰიკ ჰელსინკი), იარი ილონენი (ბრანი, ნორვეგია);*

*ნახევარმცველები: იონას კოლკა (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), მიკა კოპინენი (ტრომსიო, ნორვეგია), იარი ლიტმანენი (ბარსელონა, ესპანეთი), მიკა ნურმელა (ჰერენვენი, ჰოლანდია), აკი რიიჰილაჰტი (ვალერენგა, ნორვეგია), სიმო ვალაკარი (დერბი ქაუნთი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: მიკაელ ფორსელი (კრისტალ პალასი, ინგლისი), ჯონათან იოჰანსონი (ჩარლტონი, ინგლისი), მიკა კოტილა (ტრელებორგი, შვედეთი), შეფკი კუკი (იოკერიტი)*

### ნორვეგია — სომხეთი

*ნორვეგია:*

*მეკარეები: მორტენ ბაკე (მიოლდე), ფროდე ოლსენი (სევილია, ესპანეთი);*

*მცველები: ოლე კრისტერ ბასმა (რუსენბორგი), ჰენინგ ბერგი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ანდრე ბერგდოლმო (აიაქსი, ჰოლანდია), ბიორნ ოტო ბრაგსტადი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ერიკ ჰოფტუნი (რუსენბორგი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია);*

*ნახევარმცველები: ერიკ ბაკე (ლიდსი, ინგლისი), ტორსტენ ჰელსტადი (ბრანი), ტომი სვინდალ ლარსენი (სტაბეკი), ოივინდ ლეონარდსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ერიკ მიუკლანდი (მიუნხენ 1860, გერმანია), ბენტ სკამელსრუდი (რუსენბორგი);*

*თავდამსხმელები: ტორე ანდრე ფლო (ჩელსი, ინგლისი), სტეფან ივერსენი (ტოტენჰემ ჰოთსპური, ინგლისი), ოლე გუნარ სოლსკაერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), როარ სტრანდი (რუსენბორგი)*

### გერმანია — საბერძნეთი

*საბერძნეთი:*

*მეკარეები: დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი (ოლიმპიაკოსი), ფანის კატერიანაკისი (არისი), ანტონის ნიკოპოლიდისი (პანათინაიკოსი);*

*მცველები: გიორგიოს ამანატიდისი, ელიას პურსანიდისი, გრიგორის გეორგატოსი, ხრისტოს პაცაცოგლუ, დიმიტრიოს მავროგენიდისი (ყველა ოლიმპიაკოსი), სტელიოს ვენეტიდისი (პაოკ), ნიკოს დაბიზასი (ნიუკასლი, ინგლისი), იანის გუმასი (პანათინაიკოსი);*

*ნახევარმცველები: თეოდორის ზაგორაკისი, ვასილის ლაკისი, აკის ზიკოსი, ვასილის ცარტასი (ყველა აეკ), გიორგოს გეორგიადისი (პაოკ), გიორგოს კარაგუნისი, ანგელოს ბასინასი (ორივე პანათინაიკოსი);*

*თავდამსხმელები: მარიოს უზუნიდისი (პანილიაკოსი), ნიკოს ლიბეროპულოსი (პანათინაიკოსი), ლამბროს ხუტოსი (ოლიმპიაკოსი), ტომას კიპარისისი (არისი)*

### ლუქსემბურგი — იუგოსლავია

*იუგოსლავია:*

*მეკარეები: ჟელკო კიკოვიჩი (ლას პალმასი, ესპანეთი), დრაგოსლავ ჟევრიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრ კოციჩი (ცრვენა ზვეზდა);*

*მცველები: ზორან მირკოვიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ნენად საკიჩი (სამპდორია, იტალია), ივან დუდიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), გორან ჯოროვიჩი (სელტა, ესპანეთი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა), მილან ობრადოვიჩი (ობილიჩი), დრაგან სარიჩი (აუსტრია, ავსტრია);*

*ნახევარმცველები: დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), სლავიშა იოკანოვიჩი (დეპორტივო, ესპანეთი), ნიკოლა ლაზეტიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ლიუბინკო დრულოვიჩი (პორტუ, პორტუგალია), საშა ილიჩი (პარტიზანი), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);*

*თავდამსხმელები: პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია)*

### ბელგია — ხორვატია

*ბელგია:*

*მეკარეები: გერტ დე ვლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრედერიკ ერპოელი (გენტი);*

*მცველები: ერიკ ვან მეირი (ლიერსი), ერიკ დეფლანდრე (ლიონი, საფრანგეთი), იოს ვალგაერენი (სელტიკი, შოტლანდია), ჟეკი პეეტერსი (გენტი), ნიკო ვან კერკჰოვენი (შალკე, გერმანია);*

*ნახევარმცველები: ივ ვანდერჰეიგი (ანდერლეხტი), გერტ ვერჰეიენი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ანდერლეხტი), მარკ ვილმოტსი (ბორდო, საფრანგეთი), იოჰან ვალემი (უდინეზე, იტალია), ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), მარკ ჰენდრიქსი (გენკი);*

*თავდამსხმელები: ბრანკო შტრუპარი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ემილ მპენზა (შალკე, გერმანია), მბო მპენზა (სპორტინგი, პორტუგალია), ბობ პეეტერსი (ვიტესი, ჰოლანდია)*

### შვეიცარია — რუსეთი

*შვეიცარია:*

*მეკარეები: მარკო პასკოლო (ციურიხი), იორგ შტაილი (სენტ გალენი);*

*მცველები: სებასტიან ფურნიე (სერვეტი), სტეფან ენჩოსი (ლივერპული, ინგლისი), სებასტიან ჟენერე (სერვეტი), ბადილ ლუბამბა (ლუგანო), ლუდოვიკ მანინი (ლუგანო), ჯუზეპე მაცარელი (სენტ გალენი), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), რაფაელ ვიკი (ვერდერი, გერმანია);*

*ნახევარმცველები: პატრიკ ბუელმანი (ციურიხი), მარიო კანტალუპი (ბაზელი), ალექსანდრე კომიზეტი (ოსერი, საფრანგეთი), ანტონიო ესპოზიტო (გრასჰოპერი), იოჰან ლონფატი (სერვეტი), ჩირიაკო სფორცა (ბაიერნი, გერმანია), იოჰან ვოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია);*

*თავდამსხმელები: რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ალექსანდრე რეი (სერვეტი), დავიდ სესა (ნაპოლი, იტალია), ჰაკან იაკინი (გრასჰოპერი)*

### ფარერები — სლოვენია

*ფარერები:*

*მეკარეები: იენს მარტინ კნუდსენი (ლეიფტური, ისლანდია), იაკუპ მიკელსენი (ჰერფიოლგე, დანია);*

*მცველები: ოლი იოჰანესენი (ორჰუსი, დანია), ჰანს ფროდი ჰანსენი (სოგნდალი, ნორვეგია), იენს კრისტიან ჰანსენი (ტორსჰაგენი), ოსურ ჰანსენი (ტოფტირი), იან დემი (ტოფტირი), იოჰანს იოენსენი (ჰაფნარი);*

*ნახევარმცველები: სამალ იოენსენი (ლეიფტური, ისლანდია), კურტ მორკორე (სოგნდალი, ნორვეგია), უნი არგე (აკრანესი, ისლანდია), ალან მორკორე (ტორსჰაგენი), ჰენინგ იარნსკორი (გი გოტუ), ფროდი ბენიანსენი (ტოფტირი), ჯულიან იონსონი (სოგნდალი, ნორვეგია);*

*თავდამსხმელები: იონ პეტერსენი (ლეიფტური, ისლანდია), როგვი იაკობსენი (კლაკსვიკარი), ტოდი იონსონი (კოპენჰაგენი, დანია);*





ჰარი რედნაპი 1966 წელს და ახლა

# აპტონპარკელი ჰარი ბედნიერი კაცია

## მიუხედავად იმისა, რომ ჯეიმი რედნაპის დედა სამზარეულოში შეთქმულებას უწყობდა

**არც მეტი, არც ნაკლები,** 35 წელი შესრულდა, რაც ჰარი რედნაპი „ვესტ ჰემ იუნაიტედში" მივიდა. მაშინ ლონდონელებს რონ გრინვუდი ედგათ სათავეში, ხოლო 18 წლის გარემარბი „აპტონ პარკის" მინდორზე „სანდერლენდის" წინააღმდეგ გავიდა და შეხვედრაში, რომელიც 1:1 დასრულდა, მარტინ პიტერსს საგოლე პასი მიაწოდა.

დღეს კი რედნაპი 53 წლისაა და ამბობს, რომ როდესაც „ვესტ ჰემის" მწვრთნელობას თავს დაანებებს, ფეხბურთს საბოლოოდ გამოემშვიდობება.

„ყველაზე უცნაური, რაც მახსოვს, 1970 წლის ოქტომბერში „ვულვერჰემპტონთან" შეხვედრის დროს მსაჯის, ჯონ ლუისის გათიშვა გახლავთ. ის თამაში 3:3 დამთავრდა. ძველებურ, მძიმე ტყავის ბურთს ვაგორებდით და ეს ბურთი მას პირდაპირ სახეში მოხვდა. ფეხბურთელებს მომხდარისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ — არბიტრი საჯარიმოში იწვა, ისინი კი თამაშით გართულნი თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ. ერთადერთი კაცი, ვინც ჯონ ლუისს თვალს ადევნებდა, ბობი მური გახლდათ. მსაჯი ხომ სწორედ მურის მოგერიებულმა დაანარცხა. იგი წაქცეულთან მივარდა, შორიახლოს დავარდნილ სასტვენს ხელი დაავლო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩასტვინა" — იგონებს ბედნიერი ჰარი, რომელიც, მისივე სიტყვებით, ფეხბურთელობის ხანას ქვეყნად არაფერში გაცვლიდა.

ბობი მური რომ ვახსენეთ, 1971-72 წლების ლიგის თასის გათამაშების ნახევარფინალში „სტოკ სიტის" წინააღმდეგ, განსაკუთრებული რამ შემთხვა, თავად რედნაპს კი იმ დღეს კინაღამ გულის შეტევა მოუვიდა.

„წავაგეთ. ასეთი გულდასაწყვეტი შეხვედრა კარიერაში მეორე არ მახსოვს. ასეთი ხანგრძლივი დაპირისპირების წარმოდგენაც კი ძნელი გახლდათ. შინ და სტუმრად მეტოქესთან თანაბრად დავრჩით — 2:2. ამის შემდეგ პირველი გადათამაშება „ჰილსბოროზე" 0:0 დამთავრდა და მეორეს გამართვაც მოგვიხდა. ამჯერად „ოლდ ტრეფორდზე". ისე მოხდა, რომ ჩვენი ძირითადი მეკარე ბობი ფერგიუსონი დაშავდა, რის გამოც ძელებს შორის ჩადგომა მეორე ბობის მოუხდა. მურის კარში ჩადგომამ მისი გავლენა მოედანზე მოგვაკლო და მას მერე, რაც მიკ ბერნარდმა პენალტით გადამწყვეტი გოლი გაგვიტანა, 2:3 წავაგეთ. მას მერე მრავალი წელი გავიდა და ყველა ფეხბურთელი განსაკუთრებული სინანულით იგონებს მაშინდელ ამბავს. მე განადგურებული გახლდით. თუმცა იმ პერიოდთან მხოლოდ ცუდი მოგონებები როდი მაკავშირებს. ბრწყინვალე მოგონებად, მაგალითად, „სანდერლენდთან" შეხვედრა შემომრჩა. არ არსებობს ქვეყნად პროფესიონალი, პირველი მატჩი საგანგებოდ რომ არ ახსოვდეს და მეც ასე გახლავართ. ეს 1965 წლის 23 აგვისტოს მოხდა. შაბათს „ჩელსის" წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ საგრაფოთა გუნდში ვითამაშე, ორიოდ დღის შემდეგ კი რონ გრინვუდმა „ვესტ ჰემის" ძირითად შემადგენლობაში შემიყვანა. ამაღელვებელი ის გახლდათ, რომ დაბადებული და გაზრდილი შორიახლოს ვარ, ასე რომ პროჟექტორებით განათებულ „აპტონ პარკზე" ფაქტობრივად 35 ათასი ჩემიანის წინაშე გავედი მოედანზე".

დებიუტანტმა, როგორც მოგახსენეთ, მარტინ პიტერსს გოლი გაატანინა, რისთვისაც ერთი კვირის თავზე „ლიდსის" წინააღმდეგ თამაშის უფლება დაიმსახურა...

„ვესტ ჰემის" მწვრთნელად კი ჰარი 1994 წელს დაინიშნა, მას მერე, რაც თანამდებობა წლობით უცვლელმა ბილი ბონდსმა დატოვა. ოღონდ, როგორც თავადვე აღიარებს, მისი ხელისუფლების დასაწყისში რამდენიმე სერიოზული სატრანსფერო შეცდომა მოუვიდა. ყველაზე დიდი მილიონ გირვანქად ჰოლანდიური „ვალვაიკიდან" მარკო ბოგერსის შეძენა გახლდათ.

„ბოგერსი ჩემი საშინელი შეცდომა გახლდათ. მგონი მხოლოდ ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა" — ამბობს რედნაპი და იგონებს, როგორ ეძგერა ჰოლანდიელი „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს გარი ნევილს, რომელიც ამ დაჯახებამ ლამის შუაში გაჭრა. ამ ისტორიამ ბოგერსის წინააღმდეგ მთელი კამპანია გამოიწვია და მასაც ჩემოდნის ჩალაგება მოუხდა.

1997 წელს მწვრთნელ რედნაპს კიდევ ერთი სამარცხვინო ამბავი შეემთხვა — „ვესტ ჰემი" ფეხბურთის ასოციაციის თასიდან „რექსჰემმა" გააგდო.

„ეს თამაში უსაძაგლესი შედეგით დასრულდა. მაშინ ვთქვი, „ვესტ ჰემი" საცოდავი გუნდი გახდა-მეთქი და ვგონებ ყველა გულშემატკივარი დამეთანხმა. დღეს სულ სხვა გუნდი მყავს, თუმცა გაღრმავება მის თამაშსაც სჭირდება. ჩემს განკარგულებაში უნიჭიერესი ფეხბურთელები ფრედერიკ კანუ, პაოლო დი კანიო და სტივ ლომასი არიან. გარდა ამისა, სატრანსფერო ბაზარზეც ვაჭრობის დიდი ნიჭიც აღმომაჩნდა და 1,5 მილიონ გირვანქად შეძენილი ეიალ ბერკოვიჩი ექვსად გავყიდე. იგივე მოვახერხე სლავენ ბილიჩთან დაკავშირებითაც: გადავიხადე 1,5 მილიონი, ხოლო 4,5 შემომივიდა".

„ვესტ ჰემის" მწვრთნელს ვერც იუმორის გრძობას დაუწუნებს კაცი. თავის შვილზე ის ასე ჰყვება: „ჩამოვიდოდა „ლივერპული" ლონდონში ჩვენთან სათამაშოდ და წინა დღით ჯეიმი თავის ძმაკაცებს, მაკმანამნის თამადობით, სახლში მოყრიდა. დაუცხობდა ჩემი მეუღლე ათასგვარ საჭმელს, დააპურებდა, მეორე დღეს კი ჯანზე მოსულები ჩემს გუნდს უგებდნენ".

ბედნიერი ჰარის ლონდონური მოღვაწეობა გრძელდება.

**მიხეილ სურგულაძე**

# სანსირული სტვენა

## ჰელსინგბორგთან მარცხმა ინტერის ქომაგები გააცოფა

**„ინტერის"** გულშემატკივრები აღშფოთდნენ. სათაყვანო გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ჰელსინგბორგთან" მარცხს ვერ ჰპატიობენ. მილანურმა კლუბმა ორშაბათს „სან სიროზე" ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა, რომელსაც ძალიან ცოტა მაყურებელი დაესწრო. სტადიონზე მისულები მოთამაშეებსა და მწვრთნელს აუგად იხსენიებდნენ.

მატჩის შემდეგ ინტერელთა ჰოლანდიელმა ლეგიონერმა კლარენს ზეედორფმა განაცხადა: „პროტესტი არ გვაშინებს. მარცხი ზოგჯერ გარდაუვალია. სამწუხაროდ, „ჰელსინგბორგთან" გოლის გატანის რეალური შანსები ვერ გამოვიყენეთ და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დავრჩით. თუმცა იმ გულშემატკივრებმა, რომლებიც ახლა გვისტვენენ, უნდა იცოდნენ, რომ „ინტერისთვის" სეზონი ჯერ არ დასრულებულა".

ალსანიშნავია, რომ ზეედორფმა „ოლიმპიაკოსთან" გოლი გაიტანა. თანაც უკვე მესამე წუთზე. საბოლოოდ კი შეხვედრა 2:2 დასრულდა. ამის შემდეგ შედგა პენალტების სერია — 6:5 მილანური კლუბის სასარგებლოდ.

„ახლა მონდომებით ვშრომობთ, რათა ახალი სეზონი წარმატებით დავიწყოთ — დასძენს ზეედორფი — მომავალს იმედიანად ვუყურებთ და გამარჯვების გვჯერა".

— კარგია, ფეხბურთელებმა მარცხის შემდეგ სიმხნევე რომ შეინარჩუნეს და ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ. თუმცა მე გულშემატკივრებისაც მესმის და მათ პროტესტს ჩემს თავზე ვიღებ. ამიერიდან იტალიის ჩემპიონატში უნდა მივაღწიოთ წარმატებებს, რათა ქომაგთა სიმპათია დავიბრუნოთ. „სან სირო" ისევ შეივსება და ეს ძალიან მალე მოხდება" — განაცხადა „ინტერის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.



კლარენს ზეედორფი და მისი თანაგუნდელები შვედებთან შერცხვნენ

„ოლიმპიაკოსთან" შეხვედრაში „ჯუზეპე მეაცაზე" მხოლოდ 2 200 ბილეთი გაიყიდა. 85000-იანი არენა თითქმის ცარიელი იყო. უკვე ბევრი ამბობს, მარჩელო ლიპიმ საქმეს თავი ვერ გაართვა და სტაბილური გუნდი ვერ შექმნაო.

„ჩვენ ლიპის გვჯერა, მას კი — ჩვენი. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მარჩელო „ინტერიდან" არ მიდის" — აცხადებს ზეედორფი.

„ჰელსინგბორგთან" მარცხი ნამდვილი იმედგაცრუება იყო — თქვა კლუბის მენეჯერმა გაბრიელე ორიალიმ — ფეხბურთელები, გუნდის მომსახურე-პერსონალი, გულშემატკივრები გაოცებულნი იყვნენ. ახლა ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებზე ვფიქრობთ. იტალიის ჩემპიონატი მხოლოდ ახლა იწყება და ძალიან მნიშვნელოვანია, ახალ სეზონში წარმატებას მივაღწიოთ".

მარჩელო ლიპიმ კი აღიარა, რომ მის ინტერულ კარიერაში „ჰელსინგბორგთან" წაგება ყველაზე ავადმოსაგონარია.

ქომაგთა პროტესტს „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატიც გამოეხმაურა, რომელმაც იტალიურ ტელეკომპანია „რაის" განუცხადა: „გულშემატკივართა რეაქცია ჩემთვის გაუგებარია. ვგრძნობ, რომ გუნდი მოწოლებულია, წარმატებას მიაღწიოს, ყველა მოთამაშე ცდილობს, მარცხი როგორმე დაივიწყოს".

მორატის ლიპის შესახებაც ჰკითხეს. მან უპასუხა — მარჩელოს შევხვდი. იგი ძალიან განიცდის. გრძნობს მთელ პასუხისმგებლობას და ცდილობს, მარცხი მომავალი წარმატებით დაივიწყოს".

„ინტერმა" ჩემპიონთა ლიგაში მარცხი განიცადა და უეფას თასზე გადაინაცვლა. იქ მისი მეტოქე პოლონური ხოჟუვის „რუხი" იქნება.

ახლა „ინტერის" რამდენიმე ფეხბურთელზეც ვთქვათ. დავიწყოთ იმით, რომ გუნდს ახალი მოთამაშე შეემატა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ვამპეტამ „კორინთიანსი" დატოვა და მილანურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მერე ბრაზილიელი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც 5 სექტემბრამდე დარჩება, შემდეგ კი მილანში ჩავა და გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს. „ვამპეტა ჩინებული ფეხბურთელია, იგი დროულად შევიძინეთ. ერთობ ნიჭიერია და დიდი ფეხბურთის თამაში ძალუძს" — აღნიშნა ლიპიმ.

„ინტერის" ჩილელი ფორვარდი ივან სამორანო აცხადებს, რომ იგი ეროვნულ გუნდთან ერთად სიდნეის ოლიმპიადაზე აპირებს თამაშს. ახლა ის სამშობლოშია და კოლუმბიის წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩისთვის ემზადება. ჩილელს სამხრეთ ამერიკიდან პირდაპირ ავსტრალიაში სურს გამგზავრება, რათა ოლიმპიადაზე ითამაშოს. თუ მართლაც ასე მოხდა, სამორანო მილანურ კლუბს ვერ დაეხმარება იტალიის სუპერთასის შეხვედრაში, რომელიც 8 სექტემბერს „ინტერსა" და „ლაციოს" შორის უნდა ჩატარდეს.

ერთი კვირის წინ სამორანოს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ოლიმპიადაზე წასულიყო თუ არა. „ნაკრებშიც მინდა თამაში და „ინტერშიც". მიჭირს არჩევანი, რომელი ვამჯობინო" — განაცხადა ჩილელმა, თუმც მოგვიანებით მაინც ეროვნული ნაკრების დახმარება ისურვა.

ალსანიშნავია, რომ სამორანოს გარდა „ინტერს" ოლიმპიადის გამო კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდება. ახალგაზრდულ ნაკრებში სამმა მილანელმა — ბრუნო ჩირილომ, მატეო ფერარიმ და ანდრეა პირლომ — მიიღო მიწვევა, თუმცა „ინტერს" მათი არყოფნა ალბათ ძალიან არ დაეტყობა, რადგან ეს სამი ფეხბურთელი ლიპის გუნდში ისედაც იშვიათად ხვდება.

ინტერული თემა რობერტო ბაჯოთი ამოვწუროთ, მწვრთნელებისგან შერისხული ფეხბურთელით, რომელსაც ვერც კლუბში გამოენახა ადგილი და ვერც ეროვნულ ნაკრებში. ლიპი ბაჯოს იშვიათად ენდობა. რობერტოს იმედად ნაკრებში თამაშიღა დარჩენოდა. განაცხადა კიდეც, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ვაპირებ თამაშსო, მაგრამ ჯოვანი ტრაპატონის ეს თითქოს არც გაუგია — უნგრეთის წინააღმდეგ სათამაშოდ ნაკრები დააკომპლექტა და ბაჯო არც გახსენებია.

ბაჯოს მსურველი კლუბები ევროპაში მრავლად არიან. ადრე გაუწყეთ კიდეც, თითქოს იტალიელს „ბარსელონა" იწვევდა, მაგრამ ბუდისტი ახლაც „ინტერშია" და მარჩელო ლიპის შესცქერის. ახლახან რობერტოს შეძენის სურვილი „რეჯინამ" გამოთქვა. კლუბის პრეზიდენტი პასკუალე კოტი აცხადებს, გუნდში იტალიური ფეხბურთის ლეგენდების მიწვევა მსურს და ასეთად სწორედ ბაჯო მიმაჩნიაო.



„ჰელსინგბორგი" ჩემპიონთა ლიგაშია, „ინტერი" კი თავს იმართლებს

**ნიკა შუბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიდნეი 2000

## დარჩა 15 დღე

### ოლიმპიური კურიერი



სიდნეის უსაფრთხოების ძალები უფრო ააფორიაქა ამ ქალაქის ატომურ ელექტროსადგურზე მოსალოდნელი ტერაქტის გამოაშკარავებამ. ამიტომ მათ, როგორც იტყვიან, ათასი თვალი და ყური გამოიბეს. ახლა უსაფრთხოების ძალებს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დაუხურავთ სიდნეის ოლიმპიურ ბაზებთან მდებარე ტერიტორია და ყველაფერს საგულდაგულოდ ამოწმებენ.

**ბუქარესტში,** რუმინეთის პარლამენტის შენობაში ჩატარდა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ოფიციალური პრეზენტაცია, რომელსაც უძღვებოდა რუმინეთის ეოკ-ის პრეზიდენტი ემილ კონსტანტინესკუ და სპორტის მინისტრი კრის ანტონესკუ. იქვე მოხდა ლეგენდარული მოფარიკავის ლაურა ბადეს ღირსების ორდენით დაჯილდოება.

ითქვა, რომ რუმინეთის ნაკრები სიდნეიში 5-6 ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავს, სულ კი 30 საპრიზო ადგილის დაკავებას.

* * *

**ლეგენდარული** უკრაინელი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა, რომელიც სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ კარიერის დასრულებას აპირებს, მონტე კარლოში სამართალდამცავებმა დააკავეს. იქაური პოლიციის უფროსის, კრისტიან გენიონის თქმით, ბუბკა ქალაქის ქუჩებში თავის მეგობრებთან ერთად ნაბახუსევი სეირნობდა და გამვლელებს აწუხებდა.

თავად ბუბკას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. მას ცხოვრებაში ადრეც ჰქონია ამგვარი ინციდენტი. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ მან იგივე მიზეზის გამო დონეცკის მილიციაში ამოყო თავი.

* * *

**ჰოლანდიელი** ჩოგბურთელი რიჩარდ კრაიჩეკი ალბათ სიდნეიში არ იასპარეზებს. სეზონის დასაწყისში მან მძიმე ტრავმა მიიღო და ამჟამად ფორმიდან ამოვარდნილია.

— ჩემი მიზანი წლის ბოლოს მსოფლიოს კლასიფიკაციის ათეულში მოხვედრაა. ვიცი, რომ ეს საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ სეზონის დასასრულს მე ყოველთვის უკეთ ვთამაშობ, თანაც ტურნირების უმრავლესობა დარბაზში, ხალიჩაზე გაიმართება, სადაც მე უკვე 6 ტურნირი მომიგია. ძალიან მინდოდა სიდნეიში თამაში, მაგრამ ალბათ ამ სურვილს ვერ ავისრულებ — თქვა კრაიჩეკმა.

* * *

**სიდნეიში** მოეწყო გამოკითხვა, რომლის შედეგადაც ავსტრალიელებს უნდა დაესახელებინათ ის ადამიანი, რომელიც ოლიმპიური თამაშების დღეებში ყველაზე ხშირად მოხვდებოდა გაზეთის ფურცლებზე. გამოკითხვის შედეგად პირველ ადგილზე გავიდა პატრიკ რაფტერი, რომელმაც საერთო ხმების 32,5 პროცენტი მოაგროვა, მეორეზეა გერმანელი ჰაიკე დრექსლერი, მესამეზე — მელ გიბსონი.

პირველ ხუთეულში ასევე მოხვდნენ გიბსონის მეგობარი მსახიობი პოლ ჰოგანი და „დრიმ თიმის“ მთავარი მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი.



რუმინელი ტანმოვარჯიშეები ბუქარესტის მახლობლად სასიდნეოდ რომ ემზადებიან, თან ოლიმპიურ რგოლებს იზომებენ. ამგვარად გადაღებულ სურათზე თავიანთი თავი უკვდავყვეს: სიმონა ამანარმა, მარია ოლარუმ, ანდრია ისარესკუმ (ზედა რგოლებზე), ლორედანა ბობოკმა, ანდრა რადუკანუმ (ქვედა რგოლებზე), კლაუდია პრესეკანმა და მათმა მწვრთნელმა ოქტავიან ბელუმ.

## ატლანტის შედეგზე უარესი წარმოუდგენელია



კახი ასათიანი

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით სამი კითხვით მივმართეთ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანსა და სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს:

1. როგორ შეაფასებდით 1996 წლიდან დღემდე საქართველოს ნაკრების მიერ სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროცესს?

2. რაში ხედავთ გამოსავალს ბოლო წლებში შექმნილი რთული ვითარებიდან?

3. რა შედეგს უნდა ველოდოთ საქართველოს ნაკრებისგან სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე?



ჯანო ბაგრატიონი

*კახი ასათიანი:*

1. ეს იყო წვალებისა და იმედგაცრუების პერიოდი. სპორტის დაფინანსების მხრივ მხოლოდ 1997 წელი იყო ნორმალური, 1998-99 წლები კი ქართული სპორტის ისტორიაში „შავ ლაქად“ დარჩება. სპორტსმენები და მათი მწვრთნელები ვერ ახერხებდნენ ნორმალურ პირობებში ვარჯიშს, პრაქტიკულად გაუცემელი იყო მათი კუთვნილი ხელფასები. ასე რომ, დადებითი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ის იყო, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ასეთ ფონზე არცთუ ურიგო შედეგები აჩვენეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე.

სხვებზე უკეთეს პირობებში უხდებოდათ ვარჯიში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს, ძიუდოისტებსა და ძალოსნებს, სხვა სახეობის წარმომადგენლები კი უკიდურესად მძიმე პირობებში ვარჯიშობდნენ.

გასაგებია, რომ ქვეყანას უჭირს, მაგრამ ოლიმპიური მედალი ხომ თავისით არ მოვა? ამით იმის თქმა მინდა, რომ ნებისმიერი სპორტსმენის სათანადო მომზადებისთვის 6-7 წელია საჭირო. ჩვენნაირ პირობებში ნავარჯიშევ სპორტსმენს კი ძალზე გაუჭირდება სიდნეიში კარგი შედეგის ჩვენება.

2. გამოსავალი ისაა, რომ სახელმწიფომ მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმოს სპორტსა და ფიზკულტურას. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სპორტი საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ავიდეს. თუ კაცმა იმთავითვე არ გააკეთა სერიოზული განაცხადი დიდ სპორტში, მომავალში მას ძალზე გაუჭირდება სარიოზული შედეგების მიღწევა. საქართველოში პრაქტიკულად ყველა სპორტსკოლა, როგორც იტყვიან, ნულზეა გაყინული. წინათ, საბჭოთა კავშირში, ეს პრობლემა მოგვარებული იყო, ამჟამად კი მდგომარეობა ძალზე მძიმეა. ახლა მთავარია, რომ ეკონომიკურმა ბლოკებმა, რომლებიც მრავლად არიან საქართველოში, მიიღონ ჭკვიანური გადაწყვეტილებები და კანონები. თუ მათი შემწეობით გაიზრდება ქვეყნის ბიუჯეტი, ყველაფერს ეშველება, მათ შორის სპორტსაც.

რომ არა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ნაკრები საერთოდ ვერ გაემგზავრებოდა სიდნეიში. მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოგვეყო 700 ათასი ლარი. მართალია, წარმოუდგენელია ორ თვეში სპორტსმენის მომზადება, მაგრამ მე ყოველთვის ვამბობ, რომ ქართული ნიჭი და შემართება საბოლოოდ თავისას იტყვის.

3. ჩემი აზრით, მედლის მოპოვების არცთუ ურიგო შანსი აქვთ ძიუდოისტებს: რევაზიშვილს, ვაზაგაშვილს და ხერგიანს; ჭიდაობაში ბედინეიშვილს, კურტანიძეს და კიდევ ორ-სამ ფალავანს; სროლაში, პირველ რიგში, სალუქვაძეს, რომელსაც ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობდით ხელს ნორმალური მზადებისთვის. ერთი წლის განმავლობაში სალუქვაძემ ხუთი-ექვსი თვე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. იმედი მაქვს ძალოსან ასანიძისა, რომელმაც დიდ შედეგებს მიაღწია უკანასკნელ პერიოდში. თუ ამ სპორტსმენებმა იმედები გაამართლეს, მაშინ ჩვენი ნაკრების გამოსვლა უდაოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

*ჯანო ბაგრატიონი:*

1. მეგონა, ატლანტის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ხელისუფლება გამოიჩენდა უფრო მეტ ყურადღებას სპორტისადმი და ჩვენ არ აღმოვჩნდებოდით ისეთ რთულ სიტუაციაში, როგორშიც ამჟამად ვიმყოფებით, ეს ოთხი წელიწადი კი კოშმარული იყო. ჯოჯოხეთურია ნიადაგ იმაზე ფიქრი, თუ სად ვიშოვოთ ფული, რათა ამა თუ იმ ნაკრებს არ ჩაუვარდეს წინასაოლიმპიადო მზადების ეტაპი. მესმის, რომ ქვეყანაში ძალზე რთული ეკონომიკური მდგომარეობაა, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ სათანადო მომზადების გარეშე სპორტსმენი რიგით ტურნირებზეც კი ვერ აჩვენებს მაღალ შედეგებს, რომ არაფერი ვთქვათ ოლიმპიურ თამაშებზე.

მესმის ისიც, რომ ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ სპორტი არ იყო, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ოლიმპიადა ისეთი სპორტული ღონისძიებაა, რომ ყველაფერი გამორჩეულად უნდა გაკეთებულიყო და საქმე მიზნობრივად წარმართულიყო. ოლიმპიური თამაშების მზადებისთვის ცალკე და შეუფერხებლად უნდა გამოყოფილიყო თანხები.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

ამის მიუხედავად, ჩვენი სპორტსმენების შემართებამ მაინც თავისი გაიტანა და 36 ლიცენზია მოიპოვეს, რაც, ჩემი აზრით, ფანტასტიკური შედეგია. ატლანტის ოლიმპიადაზეც ამდენივე სპორტსმენი გვყავდა, მაგრამ მაშინ პირობები უკეთესი იყო.

2. გამოსავალი ერთია — უნდა გაუმჯობესდეს სპორტის დაფინანსება, შედეგის ჩვენებას სათანადო მოსამზადებელი პერიოდის გავლა სჭირდება, ეს კი სტაბილური დაფინანსების გარეშე შეუძლებელია. შეიძლება შემომედავონ და თქვან, სპორტმა საკუთარი თავი თვითონვე შეინახოსო, მაგრამ საქართველოში ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ადრევე ხდება ოლიმპიური ოთხწლედისთვის საჭირო თანხის გამოყოფა, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ასე არ არის. სპორტსმენებისთვის სპორტი ერთადერთი საარსებო წყაროა, ჩვენი რჩეული სპორტსმენები კი გაჭირვებულ ყოფაში არიან.

დღესვე უნდა მოხდეს სპორტული სკოლების რეკონსტრუქცია. სხვაგვარად სპორტი ხელში ჩაგვაკვდება.

აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დელეგაცია, სამწუხაროდ, სიდნეიში ვერ წარსდგება სათამაშო სახეობებში. ყოფილი საბჭოეთიდან რუსეთს, უკრაინასა და ლიტვას ჰყავთ ნაკრები გუნდები ფეხბურთში და კალათბურთში. სამომავლოდ, ამთავითვე უნდა ვიფიქროთ სათამაშო სპორტის სახეობებში დაკარგული პოზიციების დაბრუნებაზე და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ თამაშებზე საქართველოს ხელბურთელთა ან კალათბურთელთა ნაკრები იასპარეზებს.

3. დიდი იმედი მაქვს გიორგი ასანიძისა და ნინო სალუქვაძის, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სალუქვაძე, რომელმაც ბოლო პერიოდი ისე წარმატებულად იასპარეზა, რომ იგი უდავოდ მზად არის მედლის მოსაპოვებლად. ასევე ვერ წარმომიდგენია სიდნეიდან ჩვენი მოჭიდავეებისა და ძიუდოისტების უმედლოდ ჩამოსვლა.

**ზურაბ თალაქვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი დევიზი რეალობად უნდა იქცეს

*ოთხი წლის წინათ, მიუხედავად საბრძოლო განწყობისა და სპორტის მოხელეების ოპტიმისტური განცხადებებისა, ატლანტაში ჩვენმა დელეგაციამ, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგი აჩვენა. მას შემდეგ განვლილ წინასაოლიმპიადო მოსამზადებელ პროცესში არაერთმა გაუთვალისწინებელმა პრობლემამ იჩინა თავი. სპორტსმენები თვეობით ვერ იღებდნენ ხელფასებს, უკიდურესობამდე გაუარესდა მათი სავარჯიშო პირობები, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება ხომ საერთოდ ფუფუნებად იქცა. ამის ფონზე ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული 36 ოლიმპიური ლიცენზია ნამდვილ გმირობად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ბევრმა ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენი დევიზი — „უკეთ, ვიდრე ატლანტაში", უტოპიურად მიიჩნია. ზემოხსენებულ ხელისშემშლელ ფაქტორებს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი სპორტსმენებისთვის ძალზე რთული იქნება სიდნეიში მედლებისთვის ბრძოლა.*

*ჩვენი ნაკრების მიერ განვლილ წინასაოლიმპიადო მოსამზადებელ პერიოდზე, სიდნეიში მის პერსპექტივაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.*

— ატლანტის შემდეგ განვლილი პერიოდის ცალსახად შეფასება არ შეიძლება — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი. პირველი ორი წელიწადი შედარებით ნორმალურად წარიმართა, რადგან სტაბილურად ხდებოდა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების და საერთოდ ქართული სპორტის დაფინანსება, არ იყო ჩავარდნები. პრობლემები უფრო 1999 წლიდან შეიქმნა, 2000 წელს კი გაღრმავდა. თებერვლიდან მაისამდე მოყოლებული ჩვენ საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით, რაც არადამაკმაყოფილებელ ფინანსურ უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული. შედარებით გამოსწორდა სიტუაცია ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით. ცხადია, ეს არაჯანსაღი სიტუაციაა. ბუნებრივია, მოსამზადებელ პროცესში ასეთი ტალღისებური ამოვარდნების გამო არ შეიძლება პრეტენზია გვქონდეს სიდნეიში რაიმე სინჯის მედლის მოპოვებაზე. ასე რომ, ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლი, ჩემი აზრით, წარიმართა საშუალოზე ცუდად.

**— სიტუაცია მართლაც არასახარბიელოა. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— გამოსავლის პოვნა უკვე დაგვიანებულია. ორ-სამ კვირაში დაიწყება ოლიმპიური თამაშები. ახლა ჩვენი მიზანია, რომ ქართველმა სპორტსმენებმა თავიანთი სპორტული ფორმის პიკს სწორედ სიდნეიში მიაღწიონ. ეს კი უკვე თავად სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ასე რომ, ახლა ჩვენი სპორტსმენის ნიჭიერების და მონდომების, მათი მწვრთნელების მაღალი კვალიფიკაციისა და სპორტული იღბალის იმედად უნდა ვიყოთ. შველა ის იქნება, რომ სიდნეიდან დაბრუნების მერე (მიუხედავად შედეგისა) საჭირო იქნება სარიოზული სჯა-ბაასი იმ პრობლემებზე, რომლებიც დღესდღეობით არის შექმნილი ქართულ სპორტში. თუ ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვალა, საქართველოში სპორტი აღარ იარსებებს.

**— მართალია, ხელფასები გაცემულია, მაგრამ სპორტსმენთა დაფინანსების ირგვლივ შექმნილი ესოდენ ნერვიული ვითარება დაღს ხომ არ დაასვამს მათ გამოსვლას სიდნეიში?**

— იმედი ვიქონიოთ, რომ არა. თუმცა, მესმის იმ სპორტსმენისაც, რომლებსაც თვეების განმავლობაში არ აუღიათ კუთვნილი ხელფასი. სპორტი ხომ მათი არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი, ზოგისთვის კი ერთადერთი წყაროცაა.

ჩვენთან უკვე საკმაოდ დიდი ხანია დომინირებს აზრი, რომ სპორტული ბაზები არა გვაქვს, მაგრამ ესეც ხომ ისევ და ისევ დიდ ფინანსურ უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. ყოველივე ამის გამო ქართველ სპორტსმენთა უმეტესობა სულ უფრო და უფრო ხშირად ფიქრობს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, სადაც მათ უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ოლიმპიადაზე მოასპარეზე სპორტსმენი არ უნდა ფიქრობდეს საკუთარი ოჯახის წევრების ელემენტარულ უზრუნველყოფაზე. იგი მხოლოდ და მხოლოდ კონცენტრირებული უნდა იყოს პაექრობაზე. ასეა თუ ისე, მგონია, რომ ასეც იქნება, დაგვიანებული ხელფასები დაღს არ დაასვამს ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე.

**— სპორტსმენების უმრავლესობა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ამბობდა, რომ იმ პირობებიდან გამომდინარე, როგორშიც მათ უხდებოდათ ვარჯიში, სიდნეიში არანაირ წარმატებაზე ფიქრი არ შეიძლებაო. თქვენი აზრით, ეს მათი მხრიდან, ოლიმპიადაზე წარუმატებელი გამოსვლის შემთხვევაში, ხომ არ არის თავის წინასწარი დაზღვევა?**

— მოსამზადებელმა პერიოდმა არ ჩაიარა ისე, როგორც ვგეგმავდით და ზოგი სპორტსმენი მთლად ოპტიმალურ ფორმაში ვერ ხვდება ოლიმპიურ თამაშებს. ასე რომ, ის გეგმა, რომელიც დასახული ჰქონდათ სპორტის დეპარტამენტს, ოლიმპიურ კომიტეტსა და სპორტულ ფედერაციებს, არ შესრულდა, განსაკუთრებით 2000 წლის ზაფხულამდე, როდესაც მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო.

სახელმწიფო სტრუქტურებისა და სპორტის ხელმძღვანელებს არა გვაქვს უფლება მოვითხოვოთ სპორტსმენისგან მაქსიმუმი ისევ და ისევ სათანადო პირობების უქონლობისა და დაგვიანებული ხელფასების გამო.

**— სიდნეიში საქართველოს არ ეყოლება გუნდი სპორტის სათამაშო სახეობებში. ამის შესახებ რას იტყოდით?**

— სათამაშო სახეობებში ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება მეტად რთულია. საამისოდ ძნელი შესარჩევი ეტაპის გავლა იყო საჭირო. მაგალითად, კალათბურთში ლიცენზია რომ მოგვეპოვებინა, უნდა დაგვეძლია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, შემდეგ კი ევროპის პირველობაზე მოვხვედრილიყავით 6 საუკეთესო გუნდს შორის. ჩვენი კი არა, რუსეთს, იტალიას, ინგლისს, იაპონიას და ამერიკასაც არა ჰყავთ სპორტის ყველა სათამაშო სახეობებში თავთავიანთი წარმომადგენელი. ვფიქრობ, ჩვენი კიდევ კარგა ხანს ვერ მოვიპოვებთ ოლიმპიურ ლიცენზიას სპორტის სათამაშო გუნდურ სახეობებში. ამ შემთხვევაში ამინდს ქმნის არა ერთი და ორი სპორტსმენი, არამედ მთელი კოლექტივი, საქმეს ისიც ართულებს, რომ სათამაშო სახეობებში ლიმიტირებულია მონაწილეთა საერთო რაოდენობა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ათენის ოლიმპიადის წინასაკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიაროს ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფეხბურთში.

**— რამდენიმე დღის წინათ რუსულ არხ „ენტევე სპორტზე" განიხილეს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან სიდნეიში მედლის პოტენციურ მომპოვებელთა ვინაობა. მათ შორის მოიხსენიეს გიორგი ასანიძე და ნინო სალუქვაძე. თვენ თუ ეთანხმებით რუსი ჟურნალისტების მიერ გაკეთებულ ამ პროგნოზს?**

— სრულიად ვეთანხმები. ნინო და გიორგი ჩვენი ნაკრების ლიდერები არიან და მჯერა, რომ მათ აქვთ კარგი შანსი სიდნეიში რომელიმე სინჯის მედლის მოპოვებისა. სავსებით შესაძლებელია, ეს მედლები ოქროსიც იყოს. თუმცა, არ შემოვიფარგლები ამ ორი გვარით, რადგანაც საქართველოს ნაკრებში არის მედლის მოპოვების 12 პოტენციური კანდიდატი. ამის თქმის საბაბს მაძლევს მათ მიერ ნაჩვენები შედეგები. ჩვენ გვყავს სოლიდური შემადგენლობა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ძლიერად გამოიყურება ძიუდოისტთა გუნდიც, მჯერა, რომ თავიანთ სიტყვას იტყვიან ბატუტზე მხტომელი რუსუდან ხოფერია და ძალოსანი მუხრან გოგია. ასევე იმედი მაქვს, რომ რომელიმე იარაღზე ან მრავალჭიდში კარგ შედეგს აჩვენებს ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე.

ასე რომ, თუ თითოეული სპორტსმენი სიდნეიში თავის საუკეთესო შედეგს აჩვენებს, იქიდან ურიგოდ არ დავბრუნდებით. ამავე დროს უნდა აღვნიშნო, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი (და პირიქით) ფაქტორი არის ის, თუ როგორი იქნება კენჭისყრა, მსაჯობა...

**— რა არის ოლიმპიადაზე ჩვენი გუნდის პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი?**

— პროგრამა მინიმუმი არის ის, რომ ჩვენმა ნაკრებმა იასპარეზოს უკეთ, ვიდრე ატლანტაში, ხოლო ჩვენი სურვილი ანუ პროგრამა მაქსიმუმი თითოეული სინჯის თითო მედლის მოპოვებაა.

**— სიდნეიში ვერ მიემგზავრება სეოკ-ის პრეზიდენტი ბატონი ჯანო ბაგრატიონი. როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა. იგი ხშირად დადის ოლიმპიური კომიტეტში და ყველანაირად ცდილობს მაქსიმალური დახმარება გაუწიოს საქართველოს დელეგაციას ყველა პრობლემატური საკითხის სასიკეთოდ გადაწყვეტაში. მართალია, იგი ვერ მოემგზავრება სიდნეიში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე იგი, როგორც იტყვიან, კარგ სპორტულ ფორმაში იქნება.

**ზურაბ თალაკვაძე**

# ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე

## ატლანტა 1996 წელი

36 მონაწილე. 2 ბრინჯაოს მედალი

1. სოსო ლიპარტელიანი (ძიუდო) — III
2. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — III
3. კობა გულიაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — IX
4. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — V და VII
5. გელა პაპაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — VI
6. გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) — VII
7. გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) — VII
8. თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა) — IX
9. ბიძინა მიქიაშვილი (ძალოსნობა) — IX
10. ვლადიმერ დგებუაძე (ძიუდო) — X
11. ავთანდილ გოგოლიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — X
12. ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) — X
13. ზაზა ტყეშელაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — XIII
14. ბაკურ გოგიტიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — XIV
15. გურამ ბიგანიშვილი (აფროსნობა) — XVI
16. ვლადიმერ გრუზდევი (აფროსნობა) — XVI
17. მევლუდ ლობჟანიძე (ძიუდო) — XVI
18. კობა გოგოლაძე (კრივი) — მესამე წრე
19. გიორგი კანდელაკი (კრივი) — მესამე წრე
20. ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი) — XX
21. ტარიელ მელელაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — XX
22. აკაკი კაკაურიძე (კრივი) — მეორე წრე
23. ბესიკ ვარძელაშვილი (კრივი) — პირველი წრე
24. თენგიზ მესხაძე (კრივი) — პირველი წრე
25. ეკა აბრამია (მხატვრული ტანვარჯიში) — XXV
26. ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში) — XXV
27. მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა) — საკვალიფიკაციო გარბენი
28. ნანა ყაზარაშვილი (წყალში ხტომა) — XXVIII
29. ნინო უჩაძე (ტყვიის სროლა) — XXVII და XXXVII
30. არჩილ ლორთქიფანიძე (ფარიკაობა) — პირველი წრე
31. გიორგი წმინდაშვილი (ძიუდო) — XXXVI
32. გოჩა გახარაია (წყალში ხტომა) — XXXIV
33. ელვირა ურუსოვა (მძლეოსნობა) — საკვალიფიკაციო შეჯიბრება
34. ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) — 1/32
35. მუხრან გოგია (ძალოსნობა) — ტრავმა
36. დავით ხახალეიშვილი (ძიუდო)

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

# გრაფი მაინც გრაფია

*სიდნეის ოლიმპიური თამაშებში გამოსვლაზე ყაბულს არიან: პატრიკ რაფტერი, ანდრე აგასი, მარკ ფილიპუსისი, ტიმ ჰენმანი, გრეკ რუზეცკი, მარატ საფინი და სხვა სახელოვანი ჩოგბურთელები. ტურნირი, სავარაუდოდ, გაიმართება ბალახისსაფარიან კორტებზე, სადაც გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი ძლიერი მოწოდების მქონე და ბადესთან კარგად მოთამაშე სპორტსმენებს ექნებათ. გერმანული ჟურნალი „TENNIS MAGAZIN"-ი გაესაუბრა ჩანდა რუბინს, პატრიკ რაფტერს, ვინუს უილიამსსა და სხენგ შალკენს. რესპოდენტები შემდეგ კითხვებზე პასუხობდნენ:*

*1. რას ნიშნავს თქვენთვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა?*

*2. ვის ექნება სიდნეიში ოქროს მედლის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი?*

*3. ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო ქალ და მამაკაც ჩოგბურთელად?*

**ჩანდა რუბინი:**

1. არც კი ვიცი (იცინის). ალბათ სხვა ტურნირებისგან ერთობ განსხვავებული ასპარეზობა იქნება, რომელიც რაღაცით დიდი სლემის შეჯიბრს მოგვაგონებს. სამშობლოს სიყვარული არ განისაზღვრება იმით, თუ რა შედეგს აჩვენებ ამა თუ იმ შეჯიბრზე. ვაიდა წავაგე პირველივე წრეში, სხვამ კი. ვთქვათ დევენპორტმა, მოიგო ტურნირი — ე.ი. ლინდსის ჩემზე მეტად უყვარს სამშობლო? სისულელეა და მეტი არაფერი. ისე კი, ყველანაირად ვეცდები, რაც შეიძლება კარგი შედეგი ვაჩვენო.

2. გაჩნია, თუ რა საფარს აირჩევენ ორგანიზატორები. ქალებში ალბათ დევენპორტი, ჰინგისი და დები უილიამსები იბრძოლებენ მედლისთვის. თუმცა კარგ ფორმაში მყოფი მარი პირსიც საკმაოდ სახიფათო მოწინააღმდეგეა. არ მგონია წარმატებას მიაღწიოს რომელიმე ესპანელმა.

კაცებში, ჩემი აზრით, რომელიმე მასპინძელმა უნდა გაიმარჯვოს. ახლა დიდებულად თამაშობს რაფტერი, სახიფათოა ჰიუიტი, ფილიპუსისს კი ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია.

3. ჩემი პასუხი ბევრს შეიძლება არაობიექტურად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ კაცებში ბორის ბეკერი, ქალებში კი კრის ევერტ-ლოიდი.

**პატრიკ რაფტერი:**

1. ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. ოლიმპიური თამაშები ყველა სხვა შეჯიბრზე ათი თავით მაღლა დგას, თანაც ტურნირი ავსტრალიაში ტარდება, რაც ორმაგად სასიხარულოა. თქვე უნდა ნახოთ, რა გახარებულნი არიან ავსტრალიელები, მათ ხომ მეოცე საუკუნის უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა დაეკისრათ.

2. რთული სათქმელია. ოლიმპიური თამაშები გარკვეულწილად დიდი სლემის სისტემით ჩატარდება, აქედან გამომდინარე წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. პროგნოზების კეთება არ მიყვარს. ვინც კარგად ითამაშებს, ოქროს მედლის მფლობელიც ის გახდება.

3. ქალთა შორის ალბათ შტეფი გრაფი. მარტინა ნავრატილოვაც ძალზე ძლიერი იყო, მაგრამ შტეფი მაინც ყველას სჯობდა. თუ არ ვცდები, მას ერთეულთა თანრიგში ყველაზე მეტი დიდი სლემის ტურნირი მოუგია. რაც შეეხება კაცებს, ყველაზე მეტად ბორის ბეკერის თამაში მომწონდა, მაგრამ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ ივან ლენდლი მიმაჩნია.

**ვინუს უილიამსი:**

1. ბევრს არაფერს. ავსტრალიაში დასასვენებლად უფრო მივემგზავრები, ვიდრე ოფლის საღვრელად. მას შემდეგ, რაც წლევანდელ სეზონში უიმბლდონი მოვიგე, ჩემი აზრით, არავისთვის აღარ მაქვს რაიმე დასამტკიცებელი.

2. ტურნირს ალბათ სერენა ან ლინდსი მოიგებს. მარტინა და მარი პირსი, ჩემი აზრით, უშანსოდ არიან. მამაკაცთა შორის ტრადიციულად პიტ სამპრასს ვუქომაგებ. მის გარდა ოქროს მედლის მოგების შანსი ექნებათ რაფტერსა და აგასის.

3. სამპრასი და გრაფი.

**სხენგ შალკენი:**

1. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ოლიმპიური თამაშები. სიდნეიში უკვე შევარჩიე შესანიშნავი აგარაკი, სადაც ორი — დიდებული კორტიც არის. ოლიმპიადის დაწყებამდე ათი დღით ადრე ოჯახთან ერთად ჩავალ ავსტრალიაში და ორი სამი დღე ალბათ არც გავეკარები ჩოგანს. პირველ რიგში იქაურ ოპერას მოვინახულებ, შემდეგ ზოოპარკში წავალ. მინდა რაც შეიძლება კარგი შედეგი ვაჩვენო, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ მსგავსი დონის ტურნირში მონაწილეობა ველარ მივიღო.

2. გააჩნია, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ტურნირში. ასევე დიდ როლს ითამაშებს ის, თუ რა საფარს აირჩევენ ორგანიზატორები. ოქროს მედალს კი როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შორის, ალბათ, ამერიკელები ან ავსტრალიელები მოიგებენ. პირადად მე ძალზე მინდა, რომ მამაკაცთა შორის ჩემპიონობა რიჩარდ კრაიჩეკმა მოიპოვოს.

3. სამპრასი და გრაფი.

**თარგმნა თამარ ზურაბაშვილმა**

# ბერძენიშვილი ლევიცეში რჩება და სლოვაკოფარმასთან ძმაკაცობს

*საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და სლოვაკური „ლევიცეს“ ცენტრმა დავით ბერძენიშვილმა მძიმე ტრავმის გამო თითქმის სრულად გამოტოვა წინა სეზონი და ვერც ეროვნულ გუნდს შეეშველა ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში. ბერძენა ჩემპიონატის ბოლოსკენ მომჯობინდა და რამდენჯერმე „ლევიცეს“ შემადგენლობაშიც გამოჩნდა, მაგრამ მოუშუშებელმა მკლავმა შესაძლებლობის სრულად წარმოჩენის საშუალება არ მისცა. ჩვენებურს ექვსთვიანმა იძულებითმა შესვენებამაც გარკვეული დაღი დაასვა და ცხადი გახდა, ჩვეული სათამაშო ფორმის აღსადგენად დათოს დიდი ჯაფა დაადგებოდა.*

*სლოვაკეთის ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო დარჩა და ამდენად ერთიორად საინტერესოა ბერძენიშვილის დღევანდელი მდგომარეობა. მით უფრო, რომ ჩვენთან ბოლო საუბრისას იგი არც სხვა კლუბში გადასვლას გამორიცხავდა...*

— მართლაც მქონდა რამდენიმე ვარიანტი და ერთხანს სერიოზულად ვფიქრობდი „ლევიცედან“ წასვლაზე, მაგრამ ბოლო დროს შევიცვალე აზრი. თუ გახსოვთ, ადრეც მითქვამს, ფინანსურად გაუჭირდა „ლევიცეს“ და სხვაგან გადაბარგებაც ამიტომ დავაპირე, ახლა კი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ახალ სეზონსაც ამ გუნდში გავატარებ.

**— თქვენი საუბრიდან ჩანს, კონტრაქტი ჯერ არ გაგიახლებიათ...**

— რაც მთავარია, მოლაპარაკება შედგა, უკლებლივ ყველა დეტალი შევათანხმე კლუბის ხელმძღვანელობასთან და უახლოეს დღეებში ოფიციალურ ხელშეკრულებასაც გავაფორმებ. ყველაფერი მზადაა, ჩემი ხელის მოწერაღა აკლია.

**— რამდენწლიან კონტრაქტზე დაყაბულდით?**

— ერთწლიანზე, უფრო სწორად, სეზონის ბოლომდე ამ კლუბის საკუთრება ვიქნები. შარშანაც ზუსტად ასეთი ხელშეკრულება გავუფორმე „ლევიცეს“.

**— უკვე შეუდექით გუნდთან ერთად ვარჯიშს?**

— ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. სხვათა შორის, „ლევიცემ“ ძალიან გვიან, ახლახანსღა დაიწყო მზადება და დრო რომ არ დამეკარგა, მთელი ზაფხული ინდივიდუალურად ვივარჯიშე. ეს აუცილებელი იყო, აშკარად ამოვარდნილი ვიყავი ფორმიდან, წონაც მომემატა და დასვენებისთვის ნამდვილად არ მეცალა. გარდა ამისა, მოგვიანებით ჩემს ყოფილ კლუბ „სლოვაკოფარმასთან“ ერთად მზადების სრულფასოვანი ციკლიც გავიარე და ახლა მხოლოდ სათამაშო პრაქტიკაღა მაკლია. რაც შეეხება „ლევიცეს“, ერთ კვირაში შევუერთდები, მას შემდეგ, რაც „სლოვაკოფარმასთან“ ერთად პოლონეთში საერთაშორისო ტურნირში მივიღებ მონაწილეობას.

**— „სლოვაკოფარმაში“ გაიარეთ მზადება, ახლა მას ტურნირზეც მიჰყვებით, კონტრაქტს კი „ლევიცეს“ უფორმებთ...**

— „ლევიცეს“ მხრიდან ამას არანაირი გართულება არ მოჰყოლია. პირიქით, კმაყოფილნი არიან კლუბის ხელმძღვანელები, იცოდნენ, რომ „სლოვაკოფარმაში“ უკეთესი მომზადების საშუალება მომეცემოდა და ხელი არ შეუშლიათ. მეც აღარ ვარ იმ ასაკისა, საითაც ხელს დამიქნევენ, იქით გავიქცე. ყოველივე შევუთანხმე „ლევიცეს“ თავკაცებს. ასე რომ, მათ ყველაფერი იციან და ნება დამრთეს, პოლონურ ტურნირზეც გავყვე „სლოვაკოფარმას“.

**— მხარი საერთოდ აღარ გაწუხებთ?**

— ტკივილებმა გამიარა, კარგა ხანია, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და არც არაფერს ვუჩივი. ჩანს, საბოლოოდ განვიკურნე. ისე კი მეტალი კვლავაც მხარში მაქვს და ადრე თუ გვიან მაინც მომიწევს ოპერაციის გაკეთება. ექიმმა მითხრა, მომავალი წლისთვის გადავდოთ, ამასობაში კუნთები მეტად მოგიმაგრდება და ოპერაციაც უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლისო.

**— ჩემპიონატი როდის იწყება და რა მიზნებს ისახავს „ლევიცე“?**

— „ლევიცეს“ მიზნებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცი. ჩემპიონატი კი სექტემბრის ბოლოს იწყება.

**— შემადგენლობის თვალსაზრისით რა სიახლეა გუნდში?**

— უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა. ერთი-ორი ადგილობრივი ახალგაზრდა აიყვანეს, ეგ არის და ეგ. დანარჩენები ძველები ვიქნებით, ფინანსური კრიზისის მიუხედავად „ლევიცემ“ მაინც მოახერხა შარშანდელი შემადგენლობის შენარჩუნება და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამბიციაც არ უნდა განელებოდა.

**გიორგი გიგაური**


ბადრი ქათამაძის ფოტო

დავით ბერძენიშვილი

# ჰარდევეი ვირეშმაკობს თვლის ინდიანას პრეზიდენტი

**ორიოდ** დღის წინ „მაიამი ჰითის“ გამთამაშებელმა ტიმ ჰარდევეიმ განაცხადა, ჩემს გუნდში აღარ მაფასებენ და ამის გამო სხვაგან გადასვლა მინდაო. კალათბურთელს არ აკმაყოფილებს იმ სამწლიანი კონტრაქტის პირობები, რომელსაც „მაიამი“ სთავაზობს. ჰარდევეიმ იქვე დააყოლა: ვგონებ, „ინდიანა პეისერზის“ მწვრთნელი აიზია ტომასი კარგადაა ჩემს მიმართ განწყობილი და მის გუნდში სიამოვნებით ვითამაშებდიო. „ინდიანას“ სახელი კი მას შემდეგ წამოტივტივდა, რაც კლუბის პრეზიდენტი დონი უოლში კალათბურთელის აგენტ ჰენრი ტომასს დაუკავშირდა და ჰარდევეის ერთწლიანი და 2,25-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა.

გაირკვა, რომ უოლშს უშუალოდ არავისთან ულაპარაკია. მან ჩიკაგოში, ჰენრი ტომასის ოფისში დარეკა და აღნიშნული წინადადება ავტომოპასუხეზე დატოვა. ამის შემდეგ „ინდიანას“ პრეზიდენტს არც აგენტი დაკავშირებია და არც კალათბურთელი.

უოლშმა იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა, რომ ტიმს „ინდიანა“ თავის მიზნების განხორციელებისთვის სჭირდება: „ჰარდევეის „მაიამის“ ყურადღების მიპყრობა სურს და ამიტომაც აგორა „პეისერზის“ თემა. იგი მართლა რომ იყოს დაინტერესებული ჩვენთან გადმოსვლით, აქამდე პასუხს გვაღირსებდა. ჰარდევეი „ინდიანას“ სახელს იყენებს. ვეკითხები: რა უფლებით აკეთებთ ამას? თუკი „მაიამისთან“ პრობლემები აქვს, თავად მოაგვაროს და ჩვენ თავი დაგვანებოს“.

არადა, ჰარდევეი სწორედ ის მოთამაშეა, რომელიც „პეისერზს“ სჭირდება. შეგახსენებთ, რომ ინდიანელთა გამთამაშებელი მარკ ჯეკსონი „ტორონტო რეპტორზში“ გადავიდა, რითაც ძველ გუნდს უკანა ხაზში დეფიციტი გაუჩინა. „ინდიანას“ მწვრთნელმა აიზია ტომასმა გადაწყვიტა, რომ გამთამაშებლად ნომინალური ფრთა ჯალენ როუზი დააყენოს. ჰარდევეის აგენტი თითქოს ცამ ჩაყლაპაო, ხოლო კალათბურთელი ამჟამად ჰავაის კუნძულებზეა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

29 აგვისტო

*დალას მავერიქსი:* შეიძინა ფორვარდი ტერი მილზი (დეტროიტიდან).

# რატომ არ უნდა მოვიგოთ დამაჯერებლად?!

## ვინ ბეიკერს ოლიმპიელობა ღვთის წყალობად მიაჩნია



ვინ ბეიკერი

*„სიეტლ სუპერსონიქსის“ ფორვარდი ვინ ბეიკერი ამჟამად ჰავაის კუნძულებზეა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. შეკრებაზე მყოფი ბეიკერი ჟურნალისტებს მოახლოებული შეჯიბრების შესახებ ესაუბრა.*

**— რას ნიშნავს თქვენთვის ამერიკის ნაკრების წევრობა?**

— დიდი ბედნიერებაა, როცა შენი ქვეყნის ღირსების დაცვის საშუალება გეძლევა. პირველად ამას შარშან, პუერტო-რიკოში გამართულ ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე მივხვდი. კარგია, როცა თამაშობ შენი კლუბისთვის, შენი ქალაქისთვის, მაგრამ ქვეყნისთვის თამაში აბსოლუტურად განსხვავებული რამ ყოფილა. ასეთ დროს ყველა კლუბის და ქალაქის ინტერესი ერთიანდება. წარმოიდგინეთ, მთელი ამერიკა გქომაგობთ და სურს, რომ ოლიმპიური ოქრო მოიპოვოთ. ამ განცდას ვერაფერი შეედრება.

**— პროფესიული კარიერის დასაწყისში თუ წარმოიდგენდით, რომ ოლიმპიურ გუნდში მოხვდებოდით?**

— არა, თავი ოლიმპიელად არასდროს წარმომედგინა. ღვთის წყალობაა, ამერიკის ნაკრებში რომ ვარ. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, რადგან ხალხს ბარსელონის ოლიმპიადის მოგები „დრიმ თიმი“ ახსოვს და ჩვენგანაც იგივე შედეგს ელის.

**— ოლიმპიური ოქროს მოპოვება თქვენი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა იქნება?**

— რა თქმა უნდა. რაც კალათბურთის თამაში დავიწყე, რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი დავისახე: ავეყვანეთ დრაფტში; მეთამაშა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში; გავხდე ასოციაციის ჩემპიონი; მოვიპოვო ოლიმპიური ოქროს მედალი. ძალიან ცოტა კალათბურთელს ეძლევა ოლიმპიადის მოგების შანსი. ჩემთვის სიდნეის თამაშები ძალიან მნიშვნელოვანია. საუკუნის ბოლო ოლიმპიადაზე შენი ქვეყნისთვის ოქროს რომ მოიპოვებ, ხალხს უკეთ დაამახსოვრდები.

**— რამდენად მნიშვნელოვანია ოლიმპიადის დამაჯერებლად მოგება?**

— პირველმა „დრიმ თიმმა“ დაამკვიდრა, რომ ამერიკის ნაკრებმა ყველა თამაში დამაჯერებლად უნდა მოიგოს. რა უფლება გვაქვს, ამ სტანდარტს გადავუხვიოთ? ბევრი ამბობს, რომ დამაჯერებლად და დიდი ანგარიშით მოგებას არავითარი აზრი არა აქვს. მე ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდი ვართ და მსოფლიოში უძლიერესი კალათბურთელები გვყავს. რატომ არ უნდა მოვიგოთ დამაჯერებლად? თუკი მოედანზე სათანადოდ განწყობილნი გამოვალთ და ბოლომდე დავიხარჯებით, დამაჯერებელი გამარჯვება არ დააყოვნებს.

**— დიდი განსხვავება იქნება ოლიმპიადის შესარჩევ და თავად ოლიმპიურ ტურნირს შორის?**

— ვფიქრობ, ძალიან დიდი. ოლიმპიადაზე უკლებლივ ყველა გუნდი საუკეთესოდ იქნება მომზადებული. ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რათა შეცდომები არ დავუშვათ.

**— ამერიკის ნაკრების მთავარი პრობლემა რა არის?**

— ის, რომ ოლიმპიური ტურნირი ევროპული, უფრო სწორად, სამოყვარულო წესებით გაიმართება. არც ესაა უსაშველო, ვარჯიშებზე ამ წესებს მივეჩვევით და თამაშებს ამ მხრივ მომზადებულნი შევხვდებით.

**— ახლა შეკრებაზე ხართ, სადაც მძიმედ შრომობთ. ასეთ დროს დასვენება და გართობაც არაა ურიგო...**

— დასვენებაზე და გართობაზე მნიშვნელოვნად გუნდში კარგი და მხიარული განწყობილების არსებობა მიმაჩნია. როცა ხედავ, რომ შენი თანაგუნდელები იცინიან, ხუმრობენ და კარგ ხასიათზე არიან, შენც სასიამოვნო განწყობა გეუფლება, ხოლო როცა არავინ ხმას არ იღებს, არ ლაპარაკობს და დაძაბულია, ხასიათი გიფუჭდება. ჩვენ მოწყენილები არ ვართ, რადგან გუნდში გერი პეიტონი და კევინ გარნეტი არიან.

**— ორივე კარგი მოთამაშეა...**

— თან ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უკეთ იხუმრებს. მათი ენამოსწრებულობის წყალობით გუნდი მუდამ კარგ ხასიათზეა.

კალათბურთი

# ლეიტნერი შაკილის ნაცვლად ბრედლის შემსახანაგდა

## გარიგება, რომელმაც ვლადიმერ სტეფანია დეტროიტში არ გაუშვა

**ფორვარდ** გრანტ ჰილის „ორლანდო მეჯიქში“ გადასვლისთანავე „დეტროიტ პისტონზმა“ ახალი გუნდის აშენება გადაწყვიტა. დეტროიტელებმა ამის გაკეთება მოთამაშეთა გაცვლა-გამოცვლით არჩიეს და რამდენიმე გუნდთან თუ კალათბურთელთან წამოიწყეს მოლაპარაკება. „პისტონზს“ ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა ეთამაშა ოთხგუნდიან და ცამეტკაციან გარიგებაში, რომლის მიხედვითაც შვიდ ახალ კალათბურთელს დაისაკუთრებდა, მათ შორის „სიეტლ სუპერსონიქსის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიასაც. მოგეხსენებათ, „დეტროიტმა“ გარიგება ჩაშალა, რადგან „დალას მავერიქსისგან“ უკეთესი წინადადება მიიღო. კლუბებმა დაახლოებით ერთი კვირა ითათბირეს და სავარაუდო ტრანსფერი ოფიციალურ გაცვლა-გამოცვლად აქციეს.

„დეტროიტიდან“ ორივე გარიგების მთავარი პერსონაჟი ფორვარდი კრისტიან ლეიტნერი იყო. ოთხგუნდიანი და ცამეტკაციანი ვაჭრობა მას „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ გადაიყვანა და გუნდის წინა ხაზში შაკილ ონილს შეუწყვილებდა. ახლა კი ლეიტნერი „დალას მავერიქსში“ ყოფნით და შონ ბრედლის პარტნიორობით უნდა დაკმაყოფილდეს. მასთან ერთად „დალასში“ გადავიდა ფორვარდი ტერი მილზი, რომელიც თავისუფალი აგენტი იყო. „დეტროიტმა“ ჯერ კონტრაქტი გაუფორმა მილზს და „მავერიქსში“ ამის მერე გააგზავნა. ამ ორი ფორვარდის სანაცვლოდ „დეტროიტმა“ „დალასისგან“ მიიღო ფორვარდები სედრიკ სებალოსი და ჯონ ვოლესი, უკანახაზელი ერიკ მერდოკი და გარკვეული რაოდენობის თანხა.

„დალასი“ კრისტიან ლეიტნერისთვის მეოთხე გუნდი იქნება. 1992 წლის დრაფტში იგი მესამე ნომრად აირჩია „მინესოტა ტიმბერვულვზმა“, სადაც სამნახევარი სეზონი დაჰყო. ამას მოჰყვა ორნახევარი სეზონი „ატლანტა ჰოქსში“ და ორი წელიწადი „დეტროიტში“. წინა სეზონში ლეიტნერმა ყველა, 82 მატჩი ითამაშა „პისტონზის“ შემადგენლობაში (ყველა სასტარტო ხუთეულში), მატჩში საშუალოდ 29,8 წუთი ითამაშა და 12,2 ქულა და 6,7 მოხსნა გააკეთა. ლეიტნერის კარიერის საშუალო მაჩვენებლებია: 33,4 წუთი, 15,7 ქულა და 7,6 მოხსნა. ყველაფერ ამას კრისტიანმა 560 მატჩში მიაღწია. კონტრაქტის მიხედვით იგი კიდევ ერთი წელიწადი უნდა დარჩენილიყო „პისტონზში“, მაგრამ მომავალი სეზონისთვის განკუთვნილ ხელფასს, 6,7 მილიონ დოლარს უკვე „დალასი“ გადაუხდის.

ლეიტნერს არაჩვეულებრივი სტუდენტური კარიერა ჰქონდა. იგი დიუკის უნივერსიტეტში თამაშობდა და 1991 და 1992 წლებში ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატი მოიგო. კრისიტანი პირველი კალათბურთელია, რომელმაც აღნიშნული შეჯიბრების ზედიზედ ოთხ „ოთხთა ფინალში“ მიიღო მონაწილეობა. დიუკში მისი თანაგუნდელი იყო გრანტ ჰილი, „დეტროიტის“ ყოფილი და „ორლანდოს“ ამჟამინდელი სუპერვარსკვლავი. ლეიტნერი ოლიმპიური ჩემპიონია. იგი გახლდათ ლეგენდარული „დრიმ თიმის“ წევრი, რომელმაც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადა მოიგო. ჯერ კიდევ სტუდენტი ლეიტნერი მაიკლ ჯორდანის, მეჯიქ ჯონსონის და ლარი ბერდის მხარდამხარ თამაშობდა.



კრისტიან ლეიტნერი

ლეიტნერი პირველად 1989 წელს გავიდა ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის ფინალში. მაშინ მისი დიუკი დაამარცხა მიჩიგანმა, რომლის ღირსებას იცავდა ტერი მილზი. მოგვიანებით ლეიტნერი და მილზი თანაგუნდელები გახდნენ და დალასის გზასაც ერთად გაუყვნენ. ათწლიან კარიერაში ტერის უთამაშია „დენვერ ნაგითსში“, „ნიუ ჯერსი ნეთსში“, „მაიამი ჰითში“ და „დეტროიტ პისტონზში“. წინა სეზონში 82-ჯერ დაიცვა „პისტონზის“ ღირსება (78-ჯერ სასტარტო ხუთეულში იყო) და მატჩში საშუალოდ 6,7 ქულა და 4,8 მოხსნა გააკეთა (კარიერაში — 10,8 ქულა და 5,5 მოხსნა).

„დალასის“ ხელმძღვანელები კმაყოფილები არიან ამ გარიგებით. „გვიხარია, რომ ლეიტნერი და მილზი შემოგვიერთდნენ. კრისტიანი გამოცდილი მოთამაშეა, რომელსაც ქულების მოტანაც შეუძლია და ბურთების მოხსნაც. ტერი კი სამქულიანების შესანიშნავი მსროლელია. იგი მნიშვნელოვნად აამაღლებს გუნდის შემტევ პოტენციალს“ — ასე ფიქრობს „მავერიქსის“ მფლობელი მარკ კუბანი. „მაღალი მოთამაშე გვჭირდებოდა და კარგია, რომ ლეიტნერი ჩავიგდეთ ხელთ. მას ფორვარდათაც შეუძლია თამაში და ცენტრადაც“ — ეს კი „დალასის“ გენერალური მენეჯერის და მთავარი მწვრთნელის დონ ნელსონის სიტყვებია.

საკმაოდ ცნობილი და გამოცდილია აწ უკვე დეტროიტელი სედრიკ სებალოსი, რომლის პროფესიული კარიერა ათ სეზონს ითვლის. მან „ფინიქს სანზში“ დაიწყო თამაში, შემდეგ კი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ და „დალასში“ ასპარეზობდა. შარშან სებალოსმა 69 მატჩი ითამაშა „დალასის“ შემადგენლობაში და 16,6 ქულა და 6,7 მოხსნა გააკეთა (კარიერაში — 19,8 ქულა და 5,5 მოხსნა).

ერიკ მერდოკს ცხრა წელიწადი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. „დეტროიტი“ მისი მერვე გუნდი იქნება. კარიერის საშუალო მაჩვენებლებია 10,1 ქულა და 4,9 პასი. წინა სეზონი მერდოკმა „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გაატარა, ხოლო დრაფტის დღეს, 28 ივნისს „დალასში“ გაცვალეს. ამდენად, ამ კალათბურთელმა ისე დატოვა „მავერიქსი“, რომ მის რიგებში ერთხელაც კი არ უთამაშია.

ასევე დრაფტის დღეს მივიდა „დალასში“ და იგი უთამაშებლად დატოვა ჯონ ვოლესმა, რომელიც წინა სეზონში „ნიუ იორკ ნიქსში“ თამაშობდა. ვოლესს სამწლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს და „ნიუ იორკის“ გარდა „ტორონტო რეპტორზშიც“ უასპარეზია. მისი საშუალო შედეგიანობაა 8,8 ქულა.

ოლიმპიზმი

# სამარანჩს ქალი უნდა

## მოსკოვში პრეზიდენტს და მასპინძელს აირჩევენ

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ, როდესაც სპორტული დაძაბულობა მინელდება, ოლიმპიელთა უმეტესობა ალბათ „შვებულებას“ აიღებს და სადმე განმარტოვდება. იგივეს ვერ ვიტყვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებზე. პირიქით, მათ სულის მოთქმის უფლება კი არა, მეტი საფიქრალი და საზრუნავი ექნებათ.

საქმე ისაა, რომ გაისად ივლისში, როდესაც ხუან ანტონიო სამარანჩი სოკ-ის პრეზიდენტობიდან გადადგება, ამ ორგანიზაციის წევრებს მისი ღირსეული შემცვლელის ძიებაში სამუშაო თავზე საყრელად ექნებათ. გარდა ამისა, 2008 წლის XXIX ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელიც უნდა გამოავლინონ.

დავიწყოთ სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლიდან. ხუთი რგოლის მთავარი მესაჭის შერჩევა სულაც არ გახლავთ ადვილი, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის არიან სამარანჩის უახლოესი „ქვეშევრდომები“ — ვიცე-პრეზიდენტები.

ავსტრალიელი კევინ გოსპერი, რომელიც ახლა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო საკითხებითაა დაკავებული, აცხადებს, რომ სიამოვნებით შეცვლიდა სამარანჩს, თუ, რა თქმა უნდა, ამისთვის სათანადო მხარდაჭერას მოიპოვებს.

სამარანჩის მემკვიდრედ მიაჩნიათ კანადელი დიკ პაუნდიც და ჩვენთვის კარგად ნაცნობი ევროპის ეოკ-თა ასოციაციის პრეზიდენტი, ბელგიელი დოქტორი ჟაკ როგიც, რომელიც თბილისში რამდენჯერმე ყოფილა და საკმაოდ კარგი ურთიერთობაც აქვს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან.

კანდიდატებიც არიან და კანდიდატებიც. ახლახან სამარანჩმა თავისი რჩეულის ვინაობა გაანდო საზოგადოებრიობას, როდესაც გერმანულ „დი ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თავის მემკვიდრედ მას წარმოუდგენია ამერიკელი ქალბატონი ანიტა დე ფრანცი, რომელიც ასევე სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტია.





ხუან ანტონიო სამარანჩმა (შუაში) დიკ პაუნდს ანიტა დეფრანცი არჩია

სამარანჩის თქმით, კანდიდატებმა, რომლებსაც პრეზიდენტობა სურთ, საამისოდ განცხადებები სიდნეის ოლიმპიადის მერე უნდა შემოიტანონო და დარწმუნებულია, რომ მათ შორის სამი, ოთხი ან ხუთი მეტოქე იქნება.

— ვერასოდეს ვიტყოდი, რომ მათ შორის რომელიმეა გამოკვეთილი პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, როგორი უნდა იყოს სოკ-ის ახალი პრეზიდენტი, მჯერა, იგი ყოფილი ოლიმპიელი იქნება.

—თუმცა, ასეთებიც ბევრნი არიან. — თქვა სამარანჩმა, ხოლო როდესაც ჰკითხეს, რატომ მაინცდამაინც დე ფრანციო, უპასუხა: „იგი აკმაყოფილებს ყველანაირ წინაპირობას: მას ადგილი უკავია სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოში, მოპოვებული აქვს ოლიმპიური მედალი, ამასთან, იგი ქალია“.

შეგახსენებთ, რომ დე ფრანცი მონრეალის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანია ნიჩბოსნობაში.

როგორც უნდა იყოს, სამარანჩის პირობა ასეთია: სოკ-ის მომავალი პრეზიდენტი ისე საქმიანობდეს, როგორც მე და ამასთან, ლოზანაში უნდა ცხოვრობდესო.

გარდა ამისა, სამარანჩი ყველას ახსენებს, რომ ყველაფერი ჩემზე არაა დამოკიდებულიო.

— ბევრს სჯერა, რომ სოკ-ის პრეზიდენტს დიდი ძალაუფლება გააჩნია და იმას გააკეთებს, რაც მოესურვება. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. სოკ-ს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო, საბჭო, რომელიც სოკ-ის სული და გულია — აცხადებს სოკ-ის პრეზიდენტი.

მომავალი წელი რომ დაძაბული იქნება სოკ-ში, ამას დიდი მარჩიელობა არ უნდა, რადგან 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დიდ წარმატებად ითვლება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვება. ამას ხომ მასპინძელი ქალაქისთვის უზარმაზარი შემოსავალი და პოპულარობაც მოაქვს. ცხადია, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა ამა თუ იმ ქალაქის ორგანიზატორთათვის საკმაოდ მომგებიან ბიზნესად ითვლება.

როგორც იცით, სიდნეის მერე 2004 წელს ოლიმპიადას უმასპინძლებს ათენი, მაგრამ ვინ იქნება შემდეგი?

ამ მხრივ უკვე გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, რადგან ოლიმპიური დღესასწაულის მასპინძლობის მაძიებელთა რაოდენობა განახევრდა. ფინალურ სტადიაში გავიდნენ პეკინი, პარიზი, ტორონტო, ოსაკა და სტამბოლი, ხოლო ბაქანს მიღმა დარჩნენ ბანკოკი, ჰავანა, კუალა ლუმპური, სევილია და კაირო.

საგულისხმოა, რომ მაღალი შეფასება დაიმსახურეს ჩინეთისა და საფრანგეთის დედაქალაქებმა, აგრეთვე ოსაკამ და ტორონტომაც, რაც სოკ-ის კანდიდატთა სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებულ 80-გვერდიან მოხსენებაშიცაა აღნიშნული. რაც შეეხება სტამბოლს, მისი ამ სიაში მოხვედრა განაპირობა იმან, რომ იგი მესამედ იყრიდა კენჭს ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში თურქებმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

ახლა, როდესაც შერჩეულია ხუთი კანდიდატი ქალაქი, მათ კიდევ ერთი წელიწადი აქვთ იმისთვის, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის საბოლოო შერჩევისთვის მოემზადონ. ის ბედნიერი, რომელიც სპორტული დღესასწაულს იხილავს თავის ქალაქში, ამას გაისად ივლისში, მოსკოვში გასამართ სოკ-ის კონგრესზე გავიგებთ, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალ მესაჭესაც დაასახელებენ.

**ბიბა ბურასაშვილი**

# სარბიელი
## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს"
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარილს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარილიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# გორანის მძიმე არჩევანი

## US OPEN

**გუსტავო კუერტენი** მოუთმენლად ელოდა აშშ-ის ღია პირველობის დაწყებას. ერთი კვირის წინ, კარიერაში პირველი ჰარდის ტურნირის მოგებით გულმოცემული, ნიუ იორკიდან ტიტულით ხელდამშვენებული წასვლას გეგმავდა და გზად მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც აპირებდა.

ოცნებებში მაღლა-მაღლა მფრინავ „გუგას“ პირველ წრეში მწარე იმედგაცრუება ელოდა — მთავარი ჯილდოს ნაცვლად მან წლევანდელი ტურნირიდან მტკივნეული მარცხიღა გააყოლა ხელს.

ავსტრალიელ უეინ არტურსს ჩოგბურთის თამაში მაინცდამაინც არ ეხერხება. სამაგიეროდ, თუ კარგ ხასიათზეა, თავისი ერთადერთი იარაღის, ტყვიასავით მოწოდებების ხარჯზე ნებისმიერ მეტოქეს წაუხდენს გუნებას.

კუერტენმა ყველანაირი ხერხი მოსინჯა: ხან უკანა ხაზიდან რამდენიმე მეტრით უკან დგებოდა, ხან, პირიქით, უშუალოდ სიახლოვეს, ხან წინასწარ ცდილობდა გამოეცნო დარტყმის მიმართულება, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, პირველი სეტიდან მოყოლებული, არტურსს მოწოდება ველარაფრით აართვა.

როლან გაროსის ჩემპიონმა მეოთხე სეტის ბოლოს ორი მატჩ-პოინტი კი გადაარჩინა და დიდი გაჭირვებით ტაიბრეიკსაც მიატანა, მაგრამ იქ ვერაფერს გახდა — ავსტრალიელმა შეხვედრას წერტილი 26-ე, 215 კმ-სთიანი ეისით დაუსვა.

„ო, ეს მოწოდება, თავადაც ხედავდით, ვერაფერი მოვუხერხე. თამაშის შესაძლებლობასაც კი არ მაძლევდა, ეისი, ეისი, სულ ეისები. თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ჩემი ბრალიცაა, უამრავი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოვიყენე — ამოილუღლუღა ბრაზილიელმა მოგვიანებით — არადა, ტურნირის დაწყებამდე კარგი წინათგრძნობა მქონდა, საკუთარი თავისგან ბევრს ველოდი“.

როდესაც არტურსს უთხრეს, კუერტენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყოო, ავსტრალიელს პასუხი არ დაუგვიანებია: „უკვე აღარ არის... კუერტენისთანა უკანახაზელებთან თამაში მიადვილდება, შარშან აქ ალექს კორეჩასაც მოვუგე. სასიამოვნოა, რომ კარიერის ბოლოს მაინც მამჩნევს ხალხი, მე ხომ უკვე 10 წელია პროფესიონალი ვარ და შარშანდელ უიმბლდონამდე (არტურსმა მერვედფინალში აგასისთან წააგო) ქუჩაში ვერავინ მცნობდა“.

არანაკლებ მოულოდნელი იყო პირველი წრიდან „ოუპენის“ ორგზის ჩემპიონის, ავსტრალიელი პატრიკ რაფტერის გავარდნაც. მის მეტოქეს კლასიფიკაციით 114-ე, ჩია, ესპანელ გალო ბლანკოს ხომ წლეულს „მეიჯორებზე“



პატრიკ რაფტერი

ერთი მატჩიც არ მოეგო, უიმბლდონის ფინალისტ რაფტერს კი ბევრი სამპრასაგასიზე არანაკლებ ფავორიტად მიიჩნევდა.

კიკინიანი ოზი ჩვეულ, აგრესიულ სტილში ირჯებოდა და ბადესთან ასზე მეტი გავარდნის უმეტესობა წარმატებითაც დააგვირგვინა. ერთი ეგ იყო, რაფტერი სწორედ ყველაზე საჭირო მომენტებში სცოდავდა და მეტოქეზე გაცილებით მეტი ქულის მოგების მიუხედავად, სამ საათზე ოდნავ მეტში დამარცხდა. 7:6 (7:3), 2:6, 6:3, 1:6, 7:6 (7:5) ბლანკოს სასარგებლოდ.

„მან ჩემი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში დამამარცხა (1997 წლის როლან გაროსის მეოთხედფინალში). მე აქ მის ტურნირზე მოვუგე, მან ჩემს ტურნირზე გამამწარა, ასეც ხდება“ — ბევრს არ მიედ-მოედო 23 წლის ესპანელი.

„ამ ღამით ცუდად დამეძინება, ჩვეულებრივ დაძაბულ შეხვედრებში უკეთ ვირჯები-ხოლმე, დღეს კი საზიზღრად ვითამაშე. არა, მასაც ვერ დავუკარგავ დამსახურებას, ბოლომდე იბრძოლა და არაფერი დამითმო“ — აღნიშნა რაფტერმა.

გორან ივანიშევიჩის ბოლოდროინდელ მარცხებს ყველა შეეჩვია. ხორვატმა ამჯერად დომინიკ ჰრბატისთან წააგო 6:4, 0:6, 1:6, 0:6, სტადიონიდან სტვენით გააცილეს და მოგვიანებით ჟურნალისტებს განდო, რომ „ოუპენზე“ ალბათ უკანასკნელად ითამაშა.

„მხარი მტკივა. ექიმებმა მირჩიეს, ოპერაცია გაიკეთეო, მაგრამ მაშინ 8, 9 თვე დასვენება მომიხდება, ამის მერე კი ტურზე დაბრუნებას რაღა აზრი აქვს? მეორე მხრივ, პენსიაზე გასვლისაც მეშინია, ვაითუ, რამდენიმე კვირაში უსაქმურობით ჭკუაზე შევიშალო და ხალხს იარაღით დავერიო“.

თუმცა მძიმე არჩევანის წინ მდგომ ხორვატს პრობლემები ისეც თავზე საყრელი აქვს: „ფრენის არ მეშინოდა, ახლა კი თვითმფრინავში ყოფნისას ვეღარ ვიძინებ, სულ მგონია, რაიმე მოხდება, ეტყობა, სიბერის ბრალია. აღარც თამაში მსიამოვნებს და აღარც ვარჯიში. ადრე ჩოგნებს ვამტვრევდი კორტზე, ახლა ხმის ამოღებაც მეზარება“.

**კაცები. პირველი წრე: ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 3:6, 6:3, 6:2, 6:2; ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 (7:2), 6:0, 6:0; ხუან კარლოს ფერერო (12, ესპანეთი) — ფერნანდო მელიჯენი (ბრაზილია) 6:3, 6:4, 3:6, 7:5; ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 4:6, 0:6, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — ვინსენტ სპედია (აშშ) 6:4, 6:1, 1:6, 6:2; მაიკლ ჩანგი (აშშ) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 3:6, 6:4, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ოლივიე როშუ (ბელგია) 7:6 (1:7), 6:1, 6:4; მაქს მირნი (ბელარუსი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:3), 6:3, 7:6 (7:3); ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ენდი როდიკი (აშშ) 6:3, 6:7 (5:7), 6:1, 6:4; ქარიმ ალამი (მაროკო) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:3, 6:4, 3:6, 2:6, 6:3.**

ორთვიანი შესვენების შემდეგ თავისი პირველი მატჩი მარი პირსმა (4) ამერიკელ ალექსანდრა სტივენსონთან გამართა. როლან გაროსის ჩემპიონს, წესით, კიდევ რამდენიმე კვირაც უნდა დაესვენებინა მტკივანი მხარი, მაგრამ... „ჩოგბურთის თამაში მომენატრა. არა, შინ, ოჯახთან, მეგობრებთან ყოფნაც კარგი იყო, რობერტოს (ალომარი, მარის ბეისბოლისტი საქმრო) მატჩებზეც დავდიოდი, თუმცა ტურნირებზე ყოფნაც მინდოდა“.

პირსმა თავისზე არანაკლებად ჩაფსკვნილი სტივენსონი, პირველ ყოვლისა, სტაბილურობაში დაჩაგრა, 6:3, 6:4 მოუგო, მატჩის შემდეგ კი მხარზე მოზრდილი ყინულის ტომსიკა დაიდო.

„საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ რომ არ მჯეროდეს, რომ ხეირიანად თამაში და სხვებთან პაექრობა შემიძლია, აქ არც ვიქნებოდი“ — აღნიშნა მარიმ.

**ქალები. პირველი წრე: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:0, 6:1; სერენა უილიამსი (5, აშშ) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:3, 6:2; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 2:6, 6:3; ანკე ჰუბერი (10, გერმანია) — მეილენ ტიუ (აშშ) 6:2, 6:3; ანა კურნიკოვა (12, რუსეთი) — ჰოლი პარკინსონი (აშშ) 6:2, 6:3; დომინიკ ვან რუსტი (14, ბელგია) — ანჟელიკა ბახმანი (გერმანია) 6:3, 6:3; მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) — ჟიული ჰალარი (16, საფრანგეთი) 6:3, 6:4; კიმ კლაისტერსი (ბელგია) — მართა მარერო (ესპანეთი) 6:0, 6:0; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:1, 6:0; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ტარა სნაიდერი (აშშ) 7:5, 6:1.**

**ავთანდილ სვანიძე**



მარი პირსი

## სხვადასხვა

**აშშ-ის** ღია პირველობის დროს, „ფლაშინგ მედოუზის“ კომპლექსი ცნობილ პიროვნებათა ერთ-ერთი საყვარელი გამოსამზეურებელი ადგილია.

ტურნირის დაწყებიდან სულ ორი დღე გავიდა და, იქ უკვე მოასწრეს გამოჩენა ჰოლივუდის ვარსკვლავებმა — ალეკ ბოლდვინმა და ოსკაროსანმა ჰელენ ჰანტმა, როკ-ვარსკვლავმა დეივ მეთიუსმა და ესტრადის ვეტერანმა ტონი ბენეტმა, ნიუ იორკის ყოფილმა მერმა დევიდ დინკინსმა და კალათბურთელმა გრანტ ჰილმა.

„დღეს მთელ გეგმას „ოუპენის“ თამაშების განრიგზე ვაგებ — აღნიშნავს ჩოგბურთის დიდი მოყვარული ბოლდვინი, რომელსაც მეუღლე კიმ ბეისინგერიც ახლავს თან — აქ იმდენ ვარსკვლავს ვხვდები, თვალები გადმოცვენაზე მაქვს“.



ალეკ ბოლდვინი მსაჯის როლში



**შიდსით** უდროოდ გარდაცვლილი შავკანიანი ჩოგბურთელის, არტურ ეშის სახელი მალე აშშ-ის ღია პირველობის სინონიმად იქცევა.

1997-ში „ფლაშინგ მედოუზზე“ ეშის სახელობის ცენტრალური კორტი ააგეს. ყოველწლიურად ტურნირის დაწყების წინ მის პატივსაცემად „ბავშვთა დღეს“ აწყობენ, რომლის მთელ შემოსავალს ეშის საქველმოქმედო ფონდში რიცხავენ, ამჯერად კი სტადიონის შესასვლელთან უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონის ძეგლიც დადგეს, რომელიც „არტურ ეშის მემორიალური ბაღის“ მთავარი ღირსშესანიშნაობა იქნება.

ოთხი მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკებაზე შიშველი ჩოგბურთელია გამოსახული, რომელიც ბურთს აწოდებს. მისი ავტორი ერიკ ფიშლი გახლავთ, ძეგლი სულ კი 600 ათას დოლარზე მეტი დაჯდა.

ქანდაკებას ეშის სიტყვები ამშვენებს: „რასაც ვიღებთ, იმით ვცხოვრობთ, მაგრამ სიცოცხლე იმისგან შედგება, რასაც გავცემთ“.

**მსოფლიოს** პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისისა და მაგნუს ნორმანის სასიყვარულო რომანი თანდათან იფურჩქნება, მაგრამ საჩოგბურთო კორტზე პარტნიორობამდე საქმე მაინც ვერ მივიდა.

რაკიღა მუდმივ მეწყვილე მარი პირსთან ერთად, წლევანდელ „ოუპენზე“ თამაში ამ უკანასკნელის მხრის ტრავმის გამო საეჭვო გახდა, ჰინგისმა გადაწყვიტა, შერეულ წყვილებში ეასპარეზა. ნორმანზე უკეთ ვის უნდა შეხმატკბილებოდა, მაგრამ შვეიცარიელმა საკუთარ ბოიფრენდს უიმბლდონის მეოთხედფინალისტი, ამერიკელი ჟან-მაიკლ გემბილი ამჯობინა.

„ერთხელ „ადიდასის“ რეკლამის გადაღების დროს შევხვდით და საკმაოდ კარგად გავიცანით ერთმანეთი, შერეულ წყვილებში ერთიმეორის წინააღმდეგაც გვითამაშია. ვფიქრობ, ის ძალიან სასიამოვნო პიროვნებაა და კარგად გავერთობით“ — განაცხადა მარტინამ.

ჰინგისი და ნორმანი ერთი ხანობა თურმე აპირებდნენ კიდეც „მიქსდში“ ერთად თამაშს, მაგრამ ბოლოს გადაუფიქრებიათ, ზედმეტ ყურადღებას მივიპყრობთო.

„ჰო, ამაზე ადრეც ვფიქრობდით. მაგნუსი წყვილებში კლასიფიკაციაშიც კი არ არის, რადგან ძალიან იშვიათად თამაშობს. მე კი ძალიან გავნერვიულდებოდი, რაიმე რომ ამერია“.

ისე სკანდინაველს უჯობს, ფრთხილად იყოს. გემბილს მშვენიერი სქესის გულშემატკივართა მთელი ლეგიონი ჰყავს და თავისი გარეგნობის წყალობით კინოსა თუ პოდიუმზე მოდელად მუშაობის არაერთი წინადადება მიუღია.

* * *

**ინგლისდან** ამ დღეებში ერთი სამწუხარო ცნობა მოვიდა — 94 წლისა გარდაიცვალა უიმბლდონის ყოფილი ფინალისტი და ლეგენდარულ ფრედ პერისთან ერთად დევისის თასის ოთხგზის მომგები ჰენრი „ბანი“ ოსტინი.

ოსტინი, რომელიც ბოლო დროს ლოგინად იყო ჩავარდნილი, საზოგადოებაში უკანასკნელად წლევანდელ უიმბლდონზე, „ჩემპიონთა აღლუმის“ დროს გამოჩნდა. ის ცენტრალურ კორტზე ინვალიდის სავარძლით გამოაგორეს.

ინგლისელის ყველაზე დიდი დამსახურება ჩოგბურთის წინაშე მოდის სფეროდან გახლავთ — ის პირველი მოთამაშე იყო ისტორიაში, რომელიც გრძელი ფართხუნა შარვლის ნაცვლად კორტზე შორტებით გავიდა.

* * *

**და** ცოტა რამ სტატისტიკიდანაც.

სამშაბათს „ოუპენზე“ დღის დასწრების რეკორდი დამყარდა — კომპლექსის კარიბჭეში 29 662 კაცმა გაიარა (ამ ციფრში არ შედის 20 ათასამდე მაყურებელი, რომელიც ღამის მატჩებს დაესწრო). წინა სარეკორდო მაჩვენებელია — 29 042, შარშან 3 სექტემბერს აღინიშნა.

მეტოქეთაგან სიმაღლეში ყველაზე მეტად რიჩარდ კრაიჩეკი და ოლივიე როშიუ განსხვავდებოდნენ. ჰოლანდიელი უიმბლდონის ჩემპიონი თავის ბელგიელ მეზობელზე მთელი 33სანტიმეტრით მაღალია (შესაბამისად 1,94 და 1,61 მეტრი).


იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



# ა ტალანტი!

## ლექსი ვუელტური. წაგვიკითხავს ქალაქის თავი



REUTERS

ოსკარ ფრეირომ წლევანდელ „ვუელტაზე“ მეორედ გაიხარა



**„ვუელტას“** მეოთხე ეტაპი თითქოს წყნარი და უშფოთველი უნდა ყოფილიყო. გზა სწორი, სიძნელეების გარეშე იყო, სიგრძითაც ვერ დაიკვეხნიდა (159კმ), მაგრამ...

ბოლო კილომეტრებზე ძლიერი ქარი ამოვარდა და მრავალი ფავორიტის იმედები მიფანტ-მოფანტა. რიშარ ვირანკმა, რობერტო ერასმა, ფერნანდო ესკარტინმა, ლორან ბროშარმა, ივან გოტიმ, ხოსე-მარია ხიმენესმა, იან ჰრუსკამ საკმაო დრო დათმეს პელოტონის მოწინავე ნაწილთან და საერთო ჩათვლაშიც ბევრი რამ შეიცვალა.

ეტაპი ფინალური სპრინტით ესპანელმა ოსკარ ფრეირმა მოიგო, ლიდერის ოქროფერი მაისურა კი უწინდებურად შვეიცარიელმა ალექს ცულემ დაინარჩუნა. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონ ფრეირისთვის წლევანდელ „ვუელტაზე“ ეს მეორე წარმატებაა სამ სპრინტერულ ეტაპზე. მას მხოლოდ ორშაბათს აჯობა ჰოლანდიელმა იან კოერტსმა, რომელიც წაიქცა და ამის გამო მეოთხე ეტაპი ბოლო ადგილზე დაამთავრა, ფრეირთან 18 წუთამდე წააგო და ქულების ჩათვლის ლიდერის მაისურაც მასვე დაუთმო.

ფინიშამდე 50-ოდე კილომეტრი რჩებოდა, პელოტონს ქარი რომ შეებრძოლა და რამდენიმე მრბოლი წააქცია, ამან კი თავისმხრივ პელოტონის ნაწილებად დაშლას შეუწყო ხელი. ათი კილომეტრის გავლის შემდეგ კი „ონსეს“ წევრებმა, რომლებიც დაწინაურებული ჯგუფის სათავეში იყვნენ, უეცრად ძალიან გაზარდეს ტემპი. წინ ამ დროს არც ერთი გაქცეული არ იყო, ფინიშიც საკმაოდ შორი საიმისოდ, რომ ონსელებს სპრინტის მზადება დაეწყოთ, მით უმეტეს, ძლიერი პეპელაც არ ჰყავთ. აბა, რაში იყო საქმე? აბრაამ ოლანოს თანაგუნდელები ქარის წისქვილებს ხომ არ ებრძოდნენ?

არა. „ონსე“, დონ კიხოტისგან განსხვავებით,სავსებით რეალურ საქმეს შესჭიდებოდა. უკანა ჯგუფებში რამდენიმე ფავორიტიც მოხვედრილიყო, რომელთა სახელებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ. ჰოდა, ესპანურ გუნდს მათი „თამაშიდან გამოთიშვა“ უნდოდა. სწორედ ასე მოიქცნენ ონსელები შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე“, როცა ოლანოსა და ლენს არმსტრონგის მოლაპარაკების შემდეგ მათ და ამერიკელის პოსტალელმა თანაგუნდელებმა ერთ-ერთ საწყის, სწორ ეტაპზე სიჩქარე ისე გაზარდეს, რომ უკან ჯგუფურ წაქცევაში მოხვედრილი ალექს ცულე ექვს წუთზე მეტით ჩამოიტოვეს. შვეიცარიელმა მაშინ ის ჩამორჩენა ყველას გაუბათილა არმსტრონგის გარდა, ოლანო კი სანატრელ პოდიუმს მაინც ვერ შესწვდა.

„წინ ვიყავი. ასეთ ეტაპებზე სულ შეიძლება რაღაც მოხდეს, ამიტომაც ყურადღება არ მომიდუნებია“ — თქვა ცულემ, რომელიც ამჯერად თავადაც ცდილობდა, ჩამორჩენილებისთვის დაწევის საშუალება მოესპო. მის გარდა „ონსეს“ იან ულრიხი, პაველ ტონკოვი, ვლადიმირ ბელი, იგორ გონსალეს დე გალდეანო და მათი გრეგარებიც ეხმარებოდნენ.

შედეგად ერასმა, ესკარტინმა, ვირანკმა, სიმონიმ, დიუფომ და კამენზინდმა, დიდი ბრძოლის მიუხედავად, წუთი და 21 წამი დათმეს. ხიმენესმა, გოტიმ და ჰრუსკამ კი გაცილებით მეტი დრო წააგეს (გოტიმ — 4 წუთი და 43 წამი)

„შედეგები შედეგებად, მაგრამ საერთო ჩათვლაში ჯერ მაინც არაფერია გარკვეული. ძნელი ეტაპები წინაა და კიდევ ბევრი რამ შეიცვლება“ — იმედი არ გადაუწურა განწირულ მეტოქეებს ცულემ.

სამშაბათის ეტაპის შესახებ საუბარს ამით დავამთავრებდით, რომ არა ერთი საინტერესო ამბავი: ეტყობა, ალბასეტეს მერს მობეზრდა კოლეგების მისასალმებელი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა ქალაქის თავები თავიანთ სამფლობელოში „ვუელტას“ გაჩერებისას ამბობენ, ანაც მათ ზედმეტად მოსაწყენად თვლის. თუმცა, იქნებ ამ პატივცემულ ადამიანს საკუთარი ტალანტის გამოვლენაც სურდა. ასეა თუ ისე, მან „ვუელტას“ საკუთარი ლექსი უძღვნა, რომლის მხატვრულ დონეზე ვერაფერს გეტყვით, შინაარსი კი დაახლოებით ასეთია: „მრბოლი ასფალტზე მიფრინავს. ქარი ხელს უშლის, ალუმინის ბედაურს აქეთ-იქით აგდებს. ცისარტყელასავით ნაირფერი პელოტონი ნაცრისფერ ასფალტზე მიიკლაკნება. მოგესალმებით, გზების გამარჯვებულებო!“ რას იტყვით, ხომ ნამდვილად უგრძნია კაცს ველოსპორტის სიყვარული?

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეოთხე ეტაპი**

ვალდეპენასი — ალბასეტე, 159კმ

1. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი, მაპეი) — 3სთ 46წთ 29წ8
2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი)
3. კრისტიან მორენი (იტალია, ლიკიგასი)
4. ენდრიო ლეონი (იტალია, ალესიო)
5. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) — 13სთ 13წთ 27წ8
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +26წ8
3. ინიგო კუესტა (ესპანეთი, ონსე) — +21
4. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +28
5. ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი, ლიკიგასი) — +31

# ვუელტა რომ დაიბადა, ფრანკომ გაისროლა



იან ულრიხი

**ველოსპორტის** სამყაროში სამი ყველაზე დიდი შეჯიბრი — „ჯირო“, „ტური“ და „ვუელტა“. სამივე სამ კვირას გრძელდება და, შესაბამისად, იტალიას, საფრანგეთსა და ესპანეთს მოატარებს პელოტონს. ამათგან უმრწემესი „ვუელტაა“, რომელსაც 65 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და წლეულს მხოლოდ 55-ედ ეწყობა.

„ვუელტა“ კარგა ხანს იყო მოკლებული იმ ინტერესსა და პრესტიჟს, რითაც „ჯირო“ და განსაკუთრებით „ტური“ გამოირჩეოდნენ. უკანასკნელი წლების მანძილზე კი ესპანეთში სულ უფრო და უფრო მეტი ძლიერი მრბოლი ჩადის, რომლებიც ან რევანშის წყურვილით არიან ანთებულნი, ანაც მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან.

ორივე ამ ტიპს აერთიანებს გერმანელი იან ულრიხი. შარშან მას სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა, რადგან წლის პირველ ნახევარში ორჯერ დაშავდა და „ტურის“ გამოტოვებაც მოუხდა. ჰოდა, რაღაც ხომ უნდა მოეგო. ადგა და აქცენტი „ვუელტაზე“ გააკეთა, ისევე, როგორც წლეულს შვეიცარიელმა ალექს ცულემ. ულრიხი ამჟამად „ვუელტას“ უმთავრესი ფავორიტია, მაგრამ მისი მიზანი უფრო მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადის ინდივიდუალური რბოლების მოგებაა.

სიდნეიში თავის გამოჩენა სხვებსაც ძლიერ უნდათ, რაც „ვუელტას“ ორგანიზატორებმაც გაითვალისწინეს. მათ ტურნირი შედარებით ადრე დაიწყეს, თან ეტაპების სიგრძე 200 კილომეტრს არ გადააცილეს. ამის გამო ესპანეთს ბევრმა ძლიერმა მრბოლმა მიაშურა. ულრიხმაც შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება და „ვუელტას“ მხოლოდ სავარჯიშოდ გამოყენება კი არა, მისი ზედიზედ მეორედ მოგებაც განიზრახა. „ეტაპები საკმაოდ მოკლეა, შესაბამისად, ველოსიპედზე სამ-ოთხ საათზე მეტხანს გაჩერება არ მოგვიწევს. დასვენების ორი დღეც გვაქვს, ანუ წლევანდელი „ვუელტა“ ძალებისგან არ დაგვცლის. პირიქით, ოლიმპიადისთვის გაცილებით უკეთ ვიქნები მზად, თუ აქ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ და სპორტული ფორმის პიკს მივაღწევ“ — განაცხადა „ვუელტას“ დაწყების წინ „ტელეკომის“ ლიდერმა.

ასე რომ, ახლა „ვუელტას“ საკმაოდ სერიოზულად აღიქვამენ, 65 წლის წინ კი ასე არ იყო. პირველი „ვუელტა“ 1935 წელს მადრიდულ გაზეთ „დიარიო ინფორმასიონეს“ თაოსნობით გაიმართა და მასში 50 მრბოლი მონაწილეობდა. ეტაპების სიგრძე დღევანდელთან შედარებით კატასტროფულად დიდი იყო, რაც იმ დროს საერთოდ მოდაში გახლდათ. თავად განსაჯეთ, 14 დღეში მრბოლებს 3411 კილომეტრი უნდა დაეფარათ, ანუ საშუალოდ დღეში დაახლოებით 245 კილომეტრი. თანაც გზად მთებიც ხვდებოდათ. ამ დატვირთვას მხოლოდ ორმა მრბოლმა გაუძლო, თუმცა მთავარი მაინც სხვა რამ იყო — „ვუელტა“ დაიბადა.

სამწუხაროდ, ეს შეჯიბრი ლამის აკვანშივე მოკვდა. მეორე წელს ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო და ველოსიპედისთვის ვიღას ეცალა. „ვუელტაც“ ხუთი წლის განმავლობაში აღარ გამართულა. მერე კი მეორე მსოფლიოს ომი გაჩაღდა და განახლებულ ტურნირზე მხოლოდ ესპანელები გამოდიოდნენ, რადგან სხვებს გარისკვა არ სურდათ.

მხოლოდ 1955 წლიდან გახდა „ვუელტა“ შედარებით სახელიანი. იმ წელს ორგანიზატორები „ტოლედოს არწივმა“, ფედერიკო ბაამონტესმაც კი დააფასა. ტურნირმა დაძაბულობაც ბოლომდე შეინარჩუნა — ანხელო კონტერნომ მხოლოდ 13 წამით აჯობა ხესუს ლორონოს.

მერე კი წლების მანძილზე „ვუელტასა“ და „ჯიროს“ შორის დიდი კონკურენცია მძვინვარებდა. „ესპანური წრე“ კალენდარში გაზაფხულის კლასიკურ რბოლებსა და „იტალიურ წრეს“ შორის იყო გაჩხერილი და პელოტონის ლიდერთა უმეტესობაც ესპანეთში ოფლის ღვრას იტალიაში თავის გამოჩენას ამჯობინებდა. შემოდგომაზე კი დიდი შეჯიბრი არ ეწყობა. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმაც „ჯიროსა“ და „ვუელტას“ ორგანიზატორებს ტურნირების შემოდგომაზე გადატანა შესთავაზა. იტალიელებმა ტრადიციების გამო უარი თქვეს, ესპანელები კი დათანხმდნენ და არც ინანეს. თანდათანობით ცხადი ხდება, რომ „ვუელტაზე“ უფრო მეტი ძლიერი მრბოლი გამოდის, ვიდრე „ჯიროზე“.

ყოველ შემთხვევაში, წლეულს ასეა.

**გაიოზ თალაკვაძე**






# პახმელიაზე ხართ, ბიჭებო?

## არის ასეთი პარტია: ივანჩუკი და მარკოვსკი მეშვიდე სვლაზე დაზავდნენ. ნაბახუსევი ხომ არ იყვნენ?

**პოლიანიცა** ზდროიში აკიბა რუბინშტეინის მემორიალი დასრულდა. შარშან იგი ჰოლანდიელმა ლუკ ვან ველმა მოიგო და წლეულსაც იგივეს გამეორებას ბევრი არ უკლდა, მაგრამ ბოლოსწინა ტურში ალექსეი შიროვთან წააგო და ამით ბორის გელფანდმა ისარგებლა.

ექსბელარუსი თავიდანვე ლიდერებში იყო, ვან ველიც გვერდზე ედგა. მე-6 ტურში ჰოლანდიელმა შავებით პიოტრ სვიდლერს მოუგო და რუსის დაღმასვლა ამით დაიწყო. სვიდლერმა დათმო მომდევნო პარტიაც, ამჯერად მიხეილ კრასენკოვთან, რომელიც თავიდან ოთხში სამის წაგების შემდეგ თამაშის მადაზე მოსულიყო და პარტიას პარტიაზე იგებდა. ამან პოლონელს სატურნირო სირცხვილი ააშორა, მან მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო, სვიდლერი კი მეცხრეზე დარჩა.

მერვე ტურისთვის გელფანდი და ვან ველი ქულით დაწინაურდნენ, მათთან უახლოესი შიროვი იყო და ამდენად, შიროვ — ვან ველის პარტია ტურის ცენტრალური უდავოდ იყო. ექსრიგელმა თავისებურად დახლართული თამაში არჩია, სიცილიურმა დაცვამაც ხელი შეუწყო და ერთობ ბუნდოვან პოზიციაში უკვე 33-ე სვლაზე მეტოქის გამოჭერა მოახერხა. დიაგრამაზე პარტიის დასკვნითი პოზიციაა ნაჩვენები სათაურით: „შავი მეფის შავი დღე.“



კარგად ჩანს, რომ ვან ველის გვირგვინოსანს უსაშველო სჭირს, ამიტომ ჰოლანდიელი ამ ადგილას დანებდა. იქით გელფანდი შავებით მასპინძელ ტომაშ მარკოვსკისთან თამაშობდა და ნახევარი ქულისა და იქიდან გამომდინარე, ერთპიროვნული ლიდერობის მოსაპოვებლად 62 სვლა იწვალა. პოლონელის მძლავრმა დარტყმებმა ებრაელი მრავალგზის შეაჩქვიფა, მაგრამ კაისამ (ჭადრაკის ქალღმერთია) იმ დღეს გელფანდზე იზრუნა და ბოლოს დარბაზის ემოციებიც ებრაელს უხვად ერგო — პარტია ყაიმით დასრულდა.

დასკვნითი (მეცხრე) ტური მშვიდობიანი კი იყო, ყველა პარტიაში ყაიმი აღინიშნა, მაგრამ დიდად უცნაურიც. ცალკე ალექსეი ფიოდოროვი და სვიდლერი საქმეს 15 სვლაში მორჩნენ, გელფანდმა და კრასენკოვმა სულაც 12 იკმარეს, ვასილი ივანჩუკსა და მარკოვსკიზე კი რაღა გითხრათ — 7 სვლაში გასრულებული პარტია ერთი ხანია, არ მინახავს. ცალკე კიდევ ვან ველისა და უნგრელი ალმაშის 7-საათიანმა და 107-სვლიანმა მარათონმა მოჭადრაკეები კი არა, მაყურებლები გადაქანცა. ჰოლანდიელს მოგება უნდოდა, გელფანდის დაწევა მხოლოდ ასე შეეძლო და სანამ დაფაზე ლამის მარტო მეფეები არ დარჩნენ, თავი არ აუწევია. ასე, 50 სვლის შემდეგ ფიგურათა მეტი წილი მკვდარი იყო: ჰოლანდიელს მეფე, ეტლი, კუ და ორი პაიკი შერჩენოდა, უნგრელს — მეფე, ეტლი, მხედარი და პაიკი. ვან ველიმ მერე ისე მოახერხა, მეტოქეს ორ პაიკში მხედარი წაართვა და უკვე მშვიდობიანი განშორების დრო იყო. თეორია ნათლად ამბობს, რომ ეტლი და კუ ეტლს მოგებას ძნელად თუ გამორჩებიან და შავებს ერთიც სხვა პაიკი ცალკე რომ ჰყავდათ? თეთრებმა მაინც არ მოისვენეს და თეორიასთან თითქმის უაზრო კინკლაობას ორმოციოდე სვლა კიდევ შესწირეს, მაგრამ ბოლოს მაინც თეორიამ იმარჯვა. ყაიმი. გელფანდის პირველობაც იქვე დადგინდა.



ბორის გელფანდი

**დავით გულუა**

**საბოლოო შედეგები.** 1. ბორის გელფანდი (ისრაელი) — 6,5; 2-3. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) — 6; 4-5. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა), მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი) — 5; 6-8. ტომაშ მარკოვსკი (პოლონეთი), სერგეი მოვსესიანი (ჩეხეთი), ზოლტან ალმაში (უნგრეთი) — 4; 9. პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) — 3,5; 10. ალექსეი ფიოდოროვი (ბელარუსი) — 1.



დენიელ ჰერბერტი (ბურთით) ავსტრალიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# სამი ერის კაცები



**დასრულდა** საუკუნის ბოლო, რიგით კი მეექვსე სამი ერის პირველობა, რომელმაც ბევრი ლამაზი წუთი აჩუქა რაგბის მოყვარულებს. როგორც იცით, გაიმარჯვა ავსტრალიამ. მისი ყველა წევრი ქების ღირსია, თუმცა სხვებმაც გამოიჩინეს თავი. თითქმის ყველა შეჯიბრის შემდეგ დგება ტურნირის სიმბოლური ნაკრები. დღეს გთავაზობთ სამი ერის 2000 წლის პირველობის რჩეულთ, რომლებიც სხვადასხვა სპორტულმა გამოცემამ დაასახელა. ნაკრებში 7 ავსტრალიელი, ოთხ-ოთხი ახალზელანდიელი და სამხრეთაფრიკელი შევიდა.

***№ 15 — კრისტიან კალენი (ახალი ზელანდია)***

ეეჭვებოდა კი ვინმეს, რომ ამ პოზიციაზე კალენის მჯობნი მოიძებნებოდა? სამი ერის პირველობის დაწყებამდე მას ტურნირის ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტი ლელო ჰქონდა გატანილი. წლეულს, ოთხ მატჩში კიდევ შვიდჯერ შეძლო მეტოქეთა დალელოება, რაც რეკორდია და რომლის გაუმჯობესებაც ძალიან ძნელი იქნება. კალენი „ოლ ბლექსის" რიგებში უდავოდ საუკეთესო იყო, თუმცა დაცვისას ხანდახან მაინც სცოდავდა ხოლმე.

***№ 14 — სტირლინგ მორტლოკი (ავსტრალია)***

ახალბედა „ვოლაბი" მორტლოკი წლევანდელ ტურნირამდე ბევრისთვის უცნობი ფრთა იყო, ახლა კი მსოფლიო რაგბის ერთ-ერთი ვარსკვლავია. ტურნირის პირველი ლელოს ავტორია, რასაც შემდეგ კიდევ სამი ლელო დაამატა. საჯარიმოებს ხომ ბრწყინვალედ ასრულებდა. მისი დარტყმების 76 პროცენტმა (!) უწია მიზანს. საერთოდ კი, მორტლოკმა 71 ქულა მოიხვეჭა და ავსტრალიას ჩემპიონობის მოპოვებაში დიდად დაეხმარა.

***№ 13 — დენიელ ჰერბერტი (ავსტრალია)***

ჰერბერტმა მთელი შეჯიბრი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. იგი ძალიან ძლიერია შებოჭვების დროს და სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ „ვოლაბების" დაცვა ასეთი ძლიერია. ჰერბერტი მეტოქეს თავისუფლებას არასოდეს აძლევს და ამიტომაც ითვლება მსოფლიოში საუკეთესო მეორე შუა სამმეოთხედელად. ახლა, ჰორანისა და კომპანიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ მისი, როგორც ვეტერანის როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

***№ 12 — ჯეისონ ლიტლი (ავსტრალია)***

სამი ერის პირველობის დაწყებამდე ავსტრალიელთა თორმეტნომრიანი კვერთი ტიმ ჰორანისთვის იყო გამზადებული, მაგრამ მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ჰორანის ადგილი მისმა ერთ-ერთმა საუკეთესო მეგობარმა — ლიტლმა დაიკავა, რომელიც ჩვეულებრივ მეორე ცენტრადაა ხოლმე გამწესებული. თუმცა ამ ამპლუაშიც მშვენივრად გაისარჯა და სანაკრებო კარიერაც კარგი განწყობით დაასრულა.

***№ 11 — ტანა უმაგა (ახალი ზელანდია)***

უმაგა ამ ტურნირში კალენთან ერთად საუკეთესო იყო ახალი ზელანდიის ნაკრებში. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ სულ მცირეოდენ შანსსაც კი იყენებს ლელოს გასატანად. ყოფილი ცამეტკაცელი სწრაფიცაა და დაცვაშიც საკმაოდ კარგად ირჯება.

***№ 10 — სტივენ ლარკემი (ავსტრალია)***

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკასთან ბოლო მატჩში უჩვეულოდ სუსტად ითამაშა, ლარკემი მაინც მსოფლიოში საუკეთესო გარე ნახევარმცველად რჩება. მისი ძლიერი მხარეებია: მინდორზე უზუსტესი პოზიციის შერჩევა, გადაწყვეტილებების უსწრაფესად მიღება და მათი თითქმის უშეცდომოდ განხორციელება, აგრეთვე გრეგანთან მშვენიერი შეთამაშება და ურთიერთგაგება.

***№ 9 — ჯორჯ გრეგანი (ავსტრალია)***

გრეგანი, ბევრი თანაგუნდელისგან განსხვავებით, მოედანზე შედარებით შეუმჩნეველია, მაგრამ უდიდეს სამუშაოს ასრულებს. ავსტრალიის ტრიუმფი უმისოდ წარმოუდგენელია. გრეგანს ყოველთვის შეუძლია, ისეთ სტილში ითამაშოს, როგორსაც მატჩის მიმდინარეობა მოითხოვს.

***№ 8 — რონ კრიბი (ახალი ზელანდია)***

ზოგიერთი კრიბს სამხრეთაფრიკელ ჯიმ უილიამსს ამჯობინებს, მაგრამ კრიბი ნაკრების დებიუტანტია და მას კარგად მოერგო. მეტიც, იგი „ოლ ბლექსის" ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. კრიბს უდავოდ დიდი მომავალი აქვს.

***№ 7 — ჯოშ კრონფელდი (ახალი ზელანდია)***

მთელი ტურნირის განმავლობაში ჟურნალისტები კრონფელდის ნაკრებიდან წასვლაზე (შემოდგომის ევროპული ტურნეს შემდეგ) უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მის თამაშზე. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიასთან პირველ მატჩში უეინ სმიტმა ძირითადში არ დააყენა, კრონფელდმა ეს ადგილი მაინც დაიბრუნა და ჩინებულადაც ითამაშა, რითაც ყველა თავისი ოპონენტი გააჩუმა.

***№ 6 — რასი ერაზმუსი (სამხრეთ აფრიკა)***

იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო წინახაზელია. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ახალ ზელანდიაში სათამაშოდ წაიყვანეს. არადა, „ქურციკთა" თავკაცმა ნიკ მალეტმა მშვენივრად უწყოდა, რომ ერაზმუსი ჩვეულ ფიზიკურ ფორმაში ვერ იყო. მისი შეტევებში ჩართვის ცქერა ერთ რამედ ღირს.

***№ 5 — ჯონ ილზი (ავსტრალია, კაპ.)***

ილზის სიმბოლურ ნაკრებს მიღმა დატოვება წარმოუდგენელია. იგი დერეფნებსა და შერკინებაში შეუდარებელია. თანაც ნამდვილი კაპიტანია და პასუხისმგებლობის სულაც არ ეშინია. გაიხსენეთ ახალ ზელანდიასთან ბოლო წამებზე მისი გამარჯვების მომტანი საჯარიმო.

***№ 4 — ანდრე ფენტერი (სამხრეთ აფრიკა)***

ფენტერი შერკინების მეორე ხაზს მხოლოდ ამ სეზონში გაუშინაურდა, მაგრამ მშვენივრად აუღო ალღო ახალ ამპლუას. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებს (თუმცა მსუბუქს) ხშირად იღებს და შედარებით გამოუცდელია, ფენტერმა ნაკრებში ადგილი მაინც დაიმკვიდრა და „ქურციკებისთვისაც" დიდ ძალად იქცა.

***№ 3 — კობუს ფისახი (სამხრეთ აფრიკა)***

ბოლო ორი სეზონია, ფისახი სამხრეთ აფრიკის ნაკრების ერთ-ერთი შეუცვლელი წევრია. წლეულს მან ცოტა უხეიროდ დაიწყო, მაგრამ მერე და მერე ძალიან მოუმატა. დიდი ტანის კვალობაზე უჩვეულოდ მოძრავია და შერკინებებში მონაწილეობაც მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარეა.

***№ 2 — ჯერემი პოლი (ავსტრალია)***

ყველაზე დიდი კონკურენცია, შეიძლება ითქვას, ამ პოზიციაზე იყო. პოლმა თანაგუნდელ მაიკლ ფოლის, სამხრეთაფრიკელ შარლ მარესა და ახალზელანდიელ ენტონ ოლივერს სულ მცირედით აჯობა. იგი წინ უფრო თავისუფლად მიიწევს, ვიდრე მისი მეტოქეები. პოლი ხელით ბრწყინვალედ თამაშობს და წლეულს შერკინებებშიც კარგად გამოიყურებოდა.

***№ 1 — რობი კემპსონი (სამხრეთ აფრიკა)***

შარშან ნაკრებს მიღმა დატოვებული კემპსონი, გუნდში წლეულს დაბრუნდა. მან, ეტყობა, უხეშობა მოიშალა და მალეტიც ამიტომ ენდო. შერკინებებში კემპსონი ძალიან ძლიერია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოც.

**გაიოზ თალაკვაძე**



# მორჩა: სოტომაიორის ბარძაყი, მატეესკუს კარიერა





მერლინ ოტი

**„ხავიერ სოტომაიორი** ჩინებულ ფორმაშია" — აღფრთოვანებით განაცხადა გუშინწინ სენიორ ალბერტო ხუანტორენამ, რომელიც კუბის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარეა. თავისუფლების კუნძულზე შეშფოთებული მოქალაქეები რომიდან ცნობებს მოუთმენლად ელოდნენ. ჩრდილოიტალიურ ვიასეჯოში მიღებული ბარძაყის ტრავმის შემდეგ, სოტომაიორი სწორედ მარადიულ ქალაქში წაიყვანეს და იქ აქიმობდნენ. დათვლილ დღეებში კუბელთა კერპი ფეხზე დადგა და როცა სააგენტო „პრესნა ლატინამ" ჰავანიდან რომთან ერთხელაც გააბა კავშირი, იქიდან სასიხარულო ამბავი გადმოსცეს. ხუანტორენას ნათქვამიდან გაირკვა, რომ სოტომაიორის ტრავმა არასერიოზული ყოფილა და მცირე ფიზიოთერაპიამ რეაბილიტაციისთვის სავსებით იკმარა. მაღლა მხტომელს უკვე ვარჯიშიც განუახლებია, ხოლო ოლიმპიადამდე კიდევ რომელ ტურნირში გამოვა, ამაზე ჯერ არაფერი თქმულა.

მერლინ ოტის ორშაბათს ნათქვამი სამშაბათს იამაიკის სამძლეოსნო ოფიციოზმა უარყო. ოტის თქმით, მისთვის ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილი უკვე გამოყოფილია, თანაც არა მარტო 4X100 მეტრიან ესტაფეტაზე, არამედ 100 მეტრზე სპრინტშიც. ამას „ჯამაიკა გლეინერი" იუწყებოდა, იმ ქვეყანაში ავტორიტეტული გაზეთი, ხოლო პასუხი იამაიკის სამძლეოსნო ნაკრების მწვრთნელმა, უინსტონ ულეტმა თქვა: „ამ საკითხზე მერლინთან არ გვისაუბრია — წერია „გლეინერის" ვებგვერდზე — მე არ ვიცი, რატომ განაცხადა მან ამგვარი რამ, როცა ჯერ არაფერი შეცვლილა. ჩვენ ბლომად დრო დაგვრჩა, ამიტომ არ ვჩქარობთ". აუჩქარებლობის მიზეზი ისაა, რომ სასწორის ცალ პინაზე მერლინ ოტის მრავალი ოლიმპიური და მსოფლიოს პირველობის მედალი ძევს, იქით კი იამაიკის ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის შედეგები, რომელთაც კანონის ძალა აქვთ და 100 მეტრზე სანაკრებო ადგილი სამ სხვა იამაიკელს არგუნეს, ოტი მხოლოდ მეოთხე იყო. თუმცა შემდეგ სლოვენიაში 100 მეტრის გასარბენად მან მხოლოდ 11 წამი დახარჯა, ამგვარი შედეგი კი წლეულს ოლიმპიური სამეულიდან ვერც ერთმა უჩვენა, ამიტომ იამაიკის მძლეოსნობის შეფების ყოყმანი გასაგებია, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად დარჩენილი დრო — საკმარისი. ოლიმპიელთა საბოლოო სიები 11 სექტემბერს უნდა დამტკიცდეს და რამე რომ იყოს, 100 მეტრზე მორბენლებს ვადას 20 სექტემბრამდეც გადაუწევენ.

რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის (კორ) მკაცრმა სადოპინგე კანონმა გუშინწინ ერთი იქაური მძლეოსანი სპორტულად მოაკვდინა. სამხტომელი როდიკა მატეესკუ ოლიმპიადებიდან სიცოცხლის ბოლომდე მოიკვეთა. მიზეზი იგივეა, რისთვისაც დასავლეთის ქვეყნებში მძლეოსნებს მხოლოდ ორი წლით აგდებენ და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამაზეც რომ ბუზღუნებს და სასამართლოებში ჩივის — მატეესკუს სისხლში ნანდროლონის კონცენტრაცია დასაშვებზე მაღალია. რუმინეთის მძლეოსნობის ფედერაციის (ფრა) გენერალური მდივანი ნიკოლაე მარასესკუ სააგენტო „როიტერმა" ტელეფონით შეაწუხა და მისგან შეიტყო, რომ ჯერ კიდევ მაისში მატეესკუს დოპინგ-ტესტმა ნანდროლონზე დადებითი შედეგი აჩვენა. კონსტანციაში მოხდა ეს ამბავი, შავი ზღვის პირას. ახლა უკვე ბუქარესტში მატეესკუ ხელმეორედ შეუმოწმებიათ და როცა დადგენილა, რომ ძაღლის კუდი ვერ გასწორდება, სასჯელიც სასტიკი დაუდგენიათ.

„როიტერის" ჟურნალისტმა მატეესკუს მოძებნა და მისი კომენტარების გაცნობა ამაოდ სცადა, ამიტომ ინფორმაცია იმითღა დაასრულა, რომ მატეესკუ სამი წლის წინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო.



ხავიერ სოტომაიორი







# ოლიმპიური თოხლი

ავსტრალიელ ფერმერებს, ჯიმ მიურეისა და ენდრიუ კამერონს ერთი კარგი თოხლი წამოუქცევიათ და კრეჭენ. ოღონდ კი, მატყლის ჩაბარება ჯერ არ დაწყებულა და ამბავიც მათ ფერმაში არ ხდება. კრეჭის ადგილია სიდნეის ოლიმპიური პარკი, სადაც ძველი და თანამედროვე ეთნოგრაფიის დიდი გამოფენა გაუმართავთ ოლიმპიურ ამბავში. მოელიან, რომ გამოფენას ათასობით სტუმარი ნახავს.

მთავარ ოლიმპიურ სტადიონს კი, იმავე პარკში სიდნეის პოლიცია შესევია და ამოწმებს, რათა რაიმე ფარსაგისგან დაიზღვიოს თავი. მაძებარი ძაღლები ხეებსაც კი შესევიან, კანალიზაციისა და ელექტრონის ორმოებში კი ყოველი კუთხე-კუნჭული მოწმდება. ყველას კარგად ახსოვს, როგორ აფეთქდა ბომბი ატლანტაში.

სიდნეელი მოწაფეები კი პოპულარული ვებ-გამოფენის — „ოლიმპიადის 1000 წელი" თვალიერებით გართულან. 3D ტიპის სათვალე, რა თქმა უნდა, ამძაფრებს შეგრძნებებს.



# როგორც გიჭირდეს...

ეს რომელიმე პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის გაკვეთილი არ გეგონოთ. ეს მონღოლეთის ოცკაცა ოლიმპიური გუნდი ვარჯიშობს სოფელ ბულგანში. სიღარიბე სირცხვილი არ არის. ესეც არ იყოს და, მონღოლებს მედლების მოგებაც შეუძლიათ ძიუდოში, კრივსა და სროლაში.





# ბარანკოშელი შრჩები

ბარანკოში ერთი ეგეთი სოფელია პორტუგალიაში, რომლის ძველ ადათ-წესებსაც კანონმდებლებმა თვალი დაადგეს. პორტუგალიაში, დიახაც პოპულარულია ხარებთან ბრძოლა, ოღონდ არა ესპანური ხერხით. იქ ხარს არ კლავენ, მხოლოდ შებოჭვაა საქმე. ბარანკოშში კი ხარს სახალხოდ გაფატრავენ ხოლმე სოფლის ტრადიციულ დღეობაზე, რაც კანონით აკრძალულია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge